

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მასალა გამოცემისთვის საქართველოს საგანძური

(იბეჭდება. ხელნაწერის უფლებით)

მეგრული ხალხური სიმღერა ქართული მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი მასშტაბური, მაღალმხატვრული და კოლორიტული მოვლენაა. სწორედ მეგრული სიმღერის მელოდიურობა და ლირიზმი, სვანურ მედიდურ ხმოვანებას-თან, კახურ ბანზე გალა-ღე-ბულ ჩახვევასთან და ხმების გურულ სიმკვირცხლესთან ერთად აყალიბებს ძირითადად ქართული ხალხური მუსიკის გამორჩეულ ფენომენს.

სამეგრელო მდებარეობს საქართველოს დასავლეთში, ოდიშის ზეგანზე და კოლხე-თის დაბლობზე და ძირითადად მდინარეების ენგურის, ცხენისწყალის, რიონს და შავ ზღვას (დასავლეთიდან) შორისაა მოქცეული. საქართველოს კუთხეთაგან სამეგრელოს ჩრდილოეთით ესაზღვრება სვანეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთით \_ ლეჩხუმი, აღმოსავლეთით \_ რაჭა და იმერეთი, სამხრეთით \_ გურია, ჩრდილო-დასავლეთით \_ აფხაზეთი. სამეგრელო მოიცავს ზუგდიდის, მარტვილის, სენაკის, აბაშას, ხობის, ჩხოროწყუს, წალენჯიხას რაიონებს და ზღვისპირა ქალაქ ფოთს; მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ზუგდიდი. სამეგრელოს ისტორიული მხარეა სამურზაყანოც, რომელიც ამჟამად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობს.

სამეგრელოს სახელწოდება მომდინარეობს ძველი ტომობრივი სახელი ეგერ/ეგურ-იდან (ადრეული შუა საუკუნეების სახელმწიფო ეგრისი). ამ მხარის ეთნარქად მიიჩნევენ მითიურ ეგროსს, ქართლოსის ძმას (ეს უკანასკნელი აღმოსავლეთ ქართველთა, და ამავე დროს, მთლიანად ქართველთა ეთნარქადაც ითვლება).

დღეს მეგრელები ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ქართველურ ეთნოგრაფიულ ჯგუფს შეადგენენ. 700 000 მეგრელიდან სამეგრელოში 460 000 ცხოვრობს. მეგრელები ასევე კომპაქტურად ცხოვრობენ აფხაზეთში \_ გალის, ოჩამჩირეს რაიონებში და ქალაქ სოხუმში. საქართველოს სხვა რეგიონებშიც, განსაკუთრებით \_ თბილისში (100 000), ასევე საზღვარ-გარეთ მეგრელები ძირითადად რუსეთში ცხოვრობენ (50 000).

მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობაში სამეგრელო, პირველ ყოვლისა, არგონავტების ანტიკურ მითთან კონტექსტში მოიხსენიება. სწორედ ეს კუთხეა კოლხიდის (აიას) სამე-ფოს მემკვიდრე, რომლის მეფე აიეტს არგონავტმა იასონმა და მისმა ამხანაგებმა ამ მეფი-სა-ვე ქალიშვილის მედეას დახმარებით (სწორედ ამ უკანასკნელის სამკურნალო ხელოვნებას უკავშირდება ტერმინი `მედიცინა`) ოქროს ვერძის საწმისი მოსტაცეს.

კოლხეთის (კოლხიდის) სამეფომდე ამ ტერიტორიას მეგრელების წინაპარი სხვადა-სხვა ქართველური ტომები \_ მოსინიკები, მაკრონები, სანები, პელაზგები ფლობდნენ.

კოლხეთმა განსაკუთრებულ ძლიერებას ძველი წელთაღრიცხვის VII-IV საუკუნე-ებში მიაღწია. ბერძენთა ცნობით, ამ დროს იგი ვრცელდებოდა პიტიუნტიდან (ბიჭვინ-თიდან) აფსაროსამდე (გონიომდე) (ანთელავა 63). მისი მნიშვნელოვანი ქალაქები იყო ფაზისი (დღეს \_ ფოთი), კუტაია (დღეს \_ ქუთაისი), არქეოპოლისი (ციხე-გოჯი), ვანი (ეს ორი უკანასკნელი პუნქტი ბოლოდროინდელმა მეტად პროდუქტულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა წარმოაჩინა). მოგვიანებით, ჩვ. წ-ლ-ის პირველ საუკუნეებში ამ სახელმწიფოს ლაზიკის სახელით მოიხსენიებენ, რადგან აქ სწორედ ლაზების ტომი ძლიერდება. ანტი-კურ ეპოქაში და ადრეულ შუა საუკუნეებში მეგრულ წინაპართა სახელმწიფო ბერძნულ-რომაული კულტურის დიდ ზეგავლენას განიცდიდა, რამაც, შეიძლება ითქვას, ხელი შე-უწყო სრულიად საქართველოს დასავლურ-ქრისტიანულ ორიენტაციას (ანთელავა 98). ქართულ წყაროებში ეს მხარე უმეტესად ეგრისის (ადრე) და სამეგრელოს (XI საუკუნი-დან) სახელწოდებითაა დაფიქსირებული.

გვიან შუა საუკუნეებში (XIV ს.) აქ ოდიშის სამთავრო დაარსდა დადიანების დინასტიით. XIX საუკუნის I ნახევრიდან იგი კვლავ სამეგრელოდ (მეგრულად \_ `სამარა-გალო`) იწოდება. თუმცა ამავე პერიოდში იგი რუსეთის იმპერიის ნაწილი ხდება.

სამეგრელო სხვადასხვა დროს დაპყრობილი ჰქონდათ ბერძნებს, რომაელებს, ბიზან-ტიელებს, მონღოლებს, სპარსელებს, თურქებს, რუსებს... განსაკუთრებით დიდი ზარალი სა-მ-ეგ-რელოს მიაყენა ადამიანებით ვაჭრობამ, რომელმაც პიკს XVII-XVIII საუკუნეებში მიაღწია. მეგრელი გოგო-ბიჭები ოსმალეთსა და სპარსეთში იგზავნებოდნენ. მეგრელი ფეოდალები ზოგჯერ ცხენზე და ძაღლზეც ცვლიდნენ თავიანთ ყმებს.

ქართველთა და სვანებთან ერთად, მეგრელებიც იდგნენ თანამედროვე ქართველი ერის ჩამოყალიბების სათავეებთან. მეგრელების დიდი ნაწილი, გარდა ქართულისა, მე-ტყვე-ლებს მეგრულ ენაზეც. ეს უკანასკნელი სვანურთან და ქართულთან ერთად ქართველური ენაა და სამეცნიერო ლიტერატურაში ლაზურ დიალექტთან ერთად ზანურ ენად მოიხსენიება. მეგრული ენა ჩვენს წელთაღრიცხვამდე I ათასწლეულში განცალკევდა იმ ენისაგან, რომელიც შემდგომში ქართულ ენად ჩამოყალიბდა.

მეგრული ენა ქართული დამწერლობით გადმოიცემა ორი ასოს დამატებით: ყრუ ბგე-რის აღმნიშვნელი —თი და ირაციონალური ხმოვნის აღმნიშვნელი – თი.

საზოგადოდ, მეგრული და ჭანური (ლაზური) კოლხური (ზანური) ენის დიალექტებად შეიძლება ჩაითვალოს (კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა 14).

არსებობს მოსაზრება, რომ შესაძლოა, ძველ კოლხებს საკუთარი დამწერლობა ჰქონოდათ. ამ ვარაუდს იწვევს ანტიკურ წყაროებში ნახსენები `კოლხური კირბები` – ამოტვიფრულწარწერებიანი ქვები, რომლებიც კარტოგრაფიულ მონაცემებს შეიცავდნენ. საინტერესოა, რომ მეგრულად `კირბი` ცხვარს ან ცხვრის ტყავს ნიშნავს, რაც ასოციაციას ბადებს ოქროს საწმისთან (ანთელავა 88). თუმცა, ეს დამწერლობა, სავარაუდოდ, უფრო ბერძნული იყო.

იშვიათი გამონაკლისების გარდა ყველა მეგრელმა ქართული ენა კარგად იცის და მას მშობლიურ ენად თვლის. მეგრელებს ქართული ასევე საღმრთო ენად მიაჩნდათ, რად-გან აქ ამ ენაზე აღესრულება ღვთისმსახურება. მე-19 საუკუნის ცნობილი მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის სიტყვებით: `შესანიშნავია, რომ ღრმა მცოდნენი ქართულის ენისა მეგრელებს შორის უფრო ბევრნი მოიპოვებიან, ვიდრე სხვა ქართველებში... მეგრელებს ყოველთვის უყვარდათ გულით ქართული ლიტერატურა და ბევრმა მეგრელმა გაამდიდრა იგი მშვენიერი თხზულებებით...`.

საინტერესოა, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის ცარიზმის მესვეურებმა საქართველოს რუსიფიკაციის მიზნით, სამეგრელოს ეკლესიებსა და სკოლებში ქართული ენის მეგრულით ჩანაცვლება სცადეს, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის მძაფრ წინააღმდეგობას წააწყდნენ და განზრახვაზე ხელი აიღეს.

პირველი ევროპული ტიპის სასწავლებელი სამეგრელოში 1830 წელს მარტვილში დაარსდა სამეგრელოს მთავრის ლევან V დადიანის დროს. მე-19 საუკუნის ბოლოს ამ რეგიონში უკვე 180-მდე სკოლა ფუნქციონირებდა. აქვე უნდა ვახსენოთ ანტიკურ სამყაროში ცნობილი ფაზისის აკადემია (რომელსაც ანტიკური წყაროები `მუზეუმის აკადემიად` მოიხსენიებენ), სადაც განათლება მიუღია ბერძენ ფილოსოფოს ევგენიოსს და მის შვილ თემიტოსს. თანადროული და მსგავსი რომაული სასწავლებლის მსგავსად აქაც ერთ-ერთი ძირითადი სასწავლო დისციპლინა მუსიკა უნდა ყოფილიყო.

მიუხედავად იმისა, რომ სამეგრელოში ქრისტიანული ღვთისმსახურება ოდითგანვე ქართულ ენაზე აღესრულებოდა, აქ ქრისტიანული რწმენა ხალხის მთავარი სულიერი საყრდენია. სამეგრელოში (ლაზიკაში) ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად, აღმოსავლეთ საქართველოს პარალელურად, IV საუკუნეში გამოცხადდა. ისტორიული ცნობებით, VI საუკუნეში პალეოსტომის ტბის პირას იდგა ტამარი, სადაც ფაზისის (ლაზიკის) ეპის-კო-პოსის კათედრა იყო.

დღეს ისტორიული სამეგრელოს ტერიტორიაზე მდებარეობს ქრისტიანული კულ-ტურის მრავალი მნიშვნელოვანი კერაა. მათგან გამოირჩევა შემდეგი ძეგლები:

მარტვილის მონასტერი – აქ ანდრია პირველწოდებულის მიერ წარმართული სათა-ყვანებელის – მუხის (`დიდი ჭყონის`) და კერპ `კაპუნისა` მაგიერ ჯვარი აღიმართა და ქრისტიანობა იქადაგა. მოგვიანებით აქ ტამარი აიგო (VII ს.), რომელიც X ს-ში საკათედრო ტაძრად იქცა. მარტვილის

მონასტერში X ს-ში მოღვაწეობდა ჰიმნოგრაფი იოანე მინჩხი. აქ ასევე მოღვაწეობდა ქართველთა უდიდესი მეფის \_ დავით აღმაშენებლის მოძღვარი და მწიგნობართუხუცესი (მთავარი მინისტრი) გიორგი ჭყონდიდელი (XI-XII ს.ს.). მარტვილის მონასტერში იყო კრიპტერია \_ გადამწერ ბერების სამყოფი, სადაც თარგმან-თან ერთად ორიგინალური ლიტერატურაც იქმნებოდა. ქართული სამგალობლო ტრადიციის ერთ-ერთ მძლავრ შენაკადს წარმოადგენს მარტვილის სამგალობლო სკოლა, რომლის ბრწყინვალე წარმომადგენელი XIX-XX საუკუნის მიჯნაზე იყო დიმიტრი ჭალაგანიძე.

ხობის მონასტერი (სადაც ინახებოდა ამჟამად ზუგდიდის მუზეუმში დაცული ღვთის-მშობლის კვართი (პერანგი),

წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების ტაძარი (XIV საუკუნის უნიკალური მოხატულობით),

აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ბედიას (999 წლის ცნობილი ჭედური ბარძი-მით), მოქვის (რომელმაც შემოგვინახა სახარების 1300 წელს შესრულებული ქართული თარგმანი) და ილორის (წმინდა გიორგის ძლიერი ხატით) ტაძრები.

ცაიშის ტაძარი \_ ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის საკათედრო ტაძარი. ამ საეპის-კო-პოსოში, რომელიც VII საუკუნიდან მოიხსენიება, ადრე ზემო სვანეთიც შედიოდა.

ქრისტიანული სალოცავებიდან, საქართველოსათვის ტრადიციულად, ყველაზე მე-ტად სათაყვანებელი წმინდა გიორგია. განსაკუთრებით ძლიერად ითვლებოდა ტაძრების \_ ილორის, სუჯუნის, ყულისკარის, ალერტის, ხეთას წმინდა გიორგის ხატები. ამ წმინდანს უკავშირდებოდა დღესასწაული `ჟინიში ხვამა` (ზეციური ლოცვა) (გოგია), რომლის დრო-საც ადამიანისა და საქონლის გამრავლებას გამოითხოვდნენ. წმინდა გიორგის მოიხსენებ-დნენ როგორც `ქიაჩი`, `ჯეგემისარიონი` (წმინდა მოისარი); ნოქალაქევეთან მდებარე V-VI საუკუნის შემორჩენილ ეკლესიასაც `ჯეგე მისარონს` ეძახიან (მაკალათია 305).

სახელით `ქიაჩი` მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზებსაც მოიხსენიებდნენ (გოგია). უფრო ხშირად კი ამ `ტყუპ` ღვთაებას `მიქამგარიას` ეძახდნენ.

საინტერესოა, რომ სამეგრელოში XVII საუკუნეში მოგზაურ თეატინელ მისსიონერს, არქანჯელო ლამბერტს ეკუთვნის აგრეთვე ნაშრომი `წმინდა კოლხიდა`, რომელიც სამეგრელოს სარწმუნოებრივ მდგომარეობას ეხება. სამწუხაროდ, ეს ნაშრომი ჯერ ქართულად თარგმნილი არ არის.

ხალხში შემორჩენილი წმინდა ქრისტიანული საგალობლიდან სამეგრელოში `ქრის-ტე აღსდგა` და `წმიდაო ღმერთოა` დაფიქსირებული. პირველი დასავლეთ საქართველოში გავრ-ცე-ლებულ სამხმიან საეკლესიო ვარიანტს ესადაგება, ხოლო მეორე თავისი მუსიკა-ლური ენით ევროპულ ზეგავლენას ამჟღავნებს (ჩიჯავაძე 15).

სამეგრელოში, მართლმადიდებლურ ქრისტიანულ რწმენასთან ერთად, ბოლო დრომ-დე შემორჩენილი იყო წარმართული რწმენასთან დაკავშირებული მრავალი რიტუალ-ლი; ხშირად კი ქრისტიანული და წარმართული მოტივები მეგრელთა ტრადიციულ ყოფაში ურთიერთშეზავებულია.

პროკოფი კესარიელის ცნობით, ჭანები (ლაზები) ფრინველებსა და ცხოველებს სცემდნენ თაყვანს (ნადარაია 132) (შესაძლოა, აქ ფრინველისმაგვარი `კაპუნია` იგულისხმებოდეს, რომელმაც დემონური თვისებები შემდგომში შეიძინა (ცანავა 45-46). აპოლონ როდოსელის მიხედვით კი, კოლხეთში იფიცებოდნენ დიად ზეცას (ურანოსს) და მის ქვეშ მყოფ დედამიწას (გეას) (ანთელავა 75, გაბისონია 174). წარმართული ასტრალური რწმენის გამოძახილია მზისა და მთვარისადმი მეგრელის თაყვანისცემა. მეგრელისათვის მზე და მთვარე ცოლ-ქმარია (ცანავა 117). აქ მეტად პოპულარულია ძველი ხალხური გამოთქმა: `ბჟა დიდა რე ჩქიმი, თუთა \_ მუმა ჩქიმი, ხვიჩა-ხვიჩა მურიცხები \_ და დო ჯიმა ჩქიმი` (მზე დედაა ჩემი, მთვარე \_ მამა ჩემი, ეს მბრწყინავი ვარსკვლავები \_ და და ძმია ჩემი). ახალ მთვარეს მეგრელი სიკეთის მოტანას ევედრება. აქ აგრეთვე გავრცელებული იყო `ორთას` \_ ცოცხალ არსებათა გამგებლის რწმენა.

ძველი სამეგრელოსათვის სხვა ღვთაებებიც არ იყო უცხო. ანტიკური ავტორების მიხედვით ფოთში იდგა არტემიდას ტაძარი, ხოლო რიონის შესართავთან იდგა ადგილობ-რივი ქალღმერთის მარმარილოს ქანდაკება. შესაძლოა, ეს ყოფილიყო `დიდი დედა`, რომლის მინიატურული ფიგურა ფოთთან, ურეკის სამაროვანშია აღმოჩენილი \_ ტახტზე მჯდომი ქალი ზავშვით და ცალკე ცხოველთა ქანდაკებებით. დიდი დედის \_ `ნანას` რწმენის მოტივები მთელ საქართველოშია გავრცელებული, რომელიც ხშირად სახადის დროს შესასრულებელ `იავნანაში` გამოსჭვივის. სამეგრელოში `ნანა` სიმღერების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გლოსოლალიაა.

ძველი მეგრელები ასევე თაყვანს სცემდნენ დიდ ჭყონს` \_ დიდ მუხას. საინტერესოა, რომ არგონავტების მითშიცაა დადასტურებული კოლხეთში არსებული წმინდა მუხა, რომელზეც ფრთოსანი ოქროს ვერძის საწმისი ეკიდა.

სამწუხაროდ, დღეს მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი ხალხური ინტონირე-ბისა და სიმღერების იმ მრავალი ნიმუშიდან, რომელიც მეგრელისათვის ჩვეულ კალენდა-რულ საკულტო რიტუალს სდევდა თან. მოკლედ მიმოვიხილავთ რიტუალთა ამ სპექტრს.

მეგრელისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო ახალი წლისა და ქრისტეშობის ხალხური რიტუალების ზედმიწევნით შესრულება, რათა ჯანმრთელობა, შვილიერება და უხვი მოსავალი დაბედებოდა. `კალანდას` (ამ ბერძნული სიტყვით მოიხსენიებდნენ აქ ახალ წელს) საღამოს შედიოდნენ მარანში (სადაც ღვინით სავსე ქვევრები იყო მიწაში ჩაფლული), საწნახელს ჯობს უტყამდნენ და მღეროდნენ: `ჯუჯელია, ჯუჯელია, ჩქიმ მა-მუ-ლი ხარგელია! შხვამ მამული ფურცელია!` (ჩემი მამული სავსე, სხვის მამულში ფო-თო-ლი). ამ ქმედების მუსიკალური მოტივი შემონახული არ არის.

კალანდას აგრეთვე სრულდებოდა `კირიალესა` (ბერძნული `კირიე ელესონიდან` \_ უფალო შეგვიწყალო), მომლოცველი ახალგაზრდების მიერ სახლის გარშემოვლისას, ამ სიმღერით მასპინძელს ახალ წელს ულოცავდნენ. ახსენებდნენ წმინდა ბასილისაც (ქრისტიანული კალენდრით ამ დღეს მისი ხსენებაა). `კირიალესა` აღდგომას დღესაც სრულდებოდა. საზოგადოდ, მარანი მეგრელისთვის წმინდა ადგილი იყო. იმ სოფლებში, სადაც ეკლესია არ მოქმედებდა, სწორედ მარანში, `ოხვამე(უ)რ ლაგვანთან`, (`სალოცავ ქვევრთან`, რომელშიც ეკლესიისადმი შესაწირი ღვინო ინახებოდა) ხდებოდა ჯვრისწერა და ნათლობა (ჯოლოხავა). აქვე დიასახლისის მიერ სრულდებოდა წესი `სადაბადო` \_ ქმარ-შვილის კეთილდღეობისათვის.

ახალი წლის მეორე დღეს `კუჩხას` (ფეხს \_ ბედნიერს) ეძახდნენ. ოჯახის უფროსი `მაკუჩხუ(ა)რი` (მეკვლე) იყო. იგი ჩუმად, მეორე კარით გავიდოდა სახლიდან და ძღვენით ხელდამშვენებული შემოდიოდა მთავარ შემოსასვლელში. მაკუჩხური სახლში ფეტვს მიმო-აბ-ნევდა და კრუხივით იძახდა, ხოლო ბავშვები წიწილებივით წიოდნენ (ეს ინტონირებაც არაა დაფიქსირებული). ბედობის დღეს კარდაკარ მოსიარულე ახალგაზრდების ჯგუფი მას-პინ-ძელს `კუჩხი ბედინერს` უმღეროდა. ზოგჯერ ეს ჯგუფი აწყობდა ოჯახებიდან გა-სა-თხოვარი ქალების სახალისო მოტაცებას, რის შემდეგაც ეს ქალები ამ გუნდის წევრები ხდებოდნენ (სახოკია 56).

არ შეიძლება, არ აღინიშნოს კალანდას აუცილებელი ატრიბუტი `ჩიჩილაკი` (`ქუჩუჩი`) \_ მცირე ხის ვარჯის ფორმის გვერდებათლილი თხილის ან ძეძვის ხის ჯოხი, რომელსაც საგანგებოდ რთავდნენ, და რომელიც ძველად მეგრელის მიერ ხისადმი და მზისადმი თაყვანისცემის გამოძახილია. სწორედ ჩიჩილაკით შემოჰყავდა მაკუჩხარს ოჯახ-ში ღვთაება `კალანდა` (ცანავა 86). ჩიჩილაკით ლოცვა-კურთხევა მეგრელებში დღესაც ფართედაა გავრცელებული.

ქრისტეშობის დროს `შეალილოები` \_ კარდაკარ მომლოცველები `ალილოს` მღეროდნენ, ხშირად \_ ქართული სიტყვებით (რაც სამეგრელოში ღვთისმსახურებს ქართულ ენაზე აღსრულების წესს უნდა უკავშირდებოდეს. საინტერესოა, რომ სამეგრელოში შელოცვების უმეტესი ნაწილიც ქართულად არის დაცული (მაკალათია 338).). მას-პინ-ძელი, ისევე როგორც `კუჩხას` დროს, ვალდებული იყო, მომლოცველები უხვად დაესაჩუქრებინა. `ალილოს` ტრადიცია მთელ საქართველოშია გავრცელებული, რასაც ვერ ვიტყვით `კირიალესას` შესახებ, რომელიც სამეგრელოს გარდა მხოლოდ იმერეთში და გურიაში გვხვდება. რაც შეეხება `კუჩხა ბედინერს`, იგი ტიპიური მეგრული სიმღერაა; თუმცა, როგორც საქორწილო სიმღერა, სხვა მოსაზღვრე კუთხეებშიც გვხვდება.

ბედობისა და მომავლის მარჩიელობის მოტივს მეგრელის ცნობიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ამგვარი ჩვეულებები იყო: კაკლებით და ცოლ-ქმარს შორის ბასილას კვერის გატეხით მარჩიელობა (კალანდას), ცომის ზემოთ ასროლა (`ტყაპობა` \_ `კუჩხა` ღამეს) ჩხირებით მარჩიელობა (`ხოზოკვარი` \_ ყველიერის დროს), ქვებით მარჩიელობა (`ნერჩიმ ხვამას` დროს), სუფრით ხვავის დაბედება (`გაძიგება`) და სხვა.

ქრისტიანული დღესასწაულებიდან სამეგრელოში აღნიშნავდნენ: შობას, წყალკურ-თხევას, ყველიერს, დიდმარხვას, თევდორობას (`თერდობა`), ბზობას (`ბაიობა`), აღდგომას (`თანაფა`),

‘საოხროო’ \_ სამოსახლო), გიორგობას (‘მირსობა’, ‘ჟინიში ხვამა’), აღდგომის შემდეგ, მიცვალებულთა დღეს (‘შურობა’), მარიამობას (‘მარაშინა’).

წარმართული მოტივები სამეგრელოში ყოველ ქრისტიანულ დღესასწაულს ახლდა თან. და პირიქით \_ წარმართული კულტისადმი მიძღვნილი ჩვეულებები ქრისტიანულ კა-ლენ-დარს უკავშირდებოდა. ამ უკანასკნელთაგან აღსანიშნავია:

‘კაპუნია’, იგივე ‘დოდგომირი’, რომელიც აღინიშნებოდა დიდმარხვამდე 10 დღით ადრე. მას შემდეგ, რაც მეგრელთა სათაყვანებელი ‘დიდჭყონი’ (დიდი მუხა) მოიჭრა, მეგრე-ლებმა მისდამი და კაპუნისადმი (დიდჭყონის გვერდით ძველად მდგარი თუჯის პირ-და-ღებულის და ხმალმოღერებული კერპი) თაყვანისცემა სახლში გადაიტანეს. საინტერესოა, რომ თუ ამ დროს სტუმარი მოვიდოდა, მას ოჯახის უფროსი ხმამოუღებლად ზურგზე შეისვამდა და ღობის გარეთ გასვამდა. ხშირად ამ სალოცავს ფუძის სალოცავს, ‘ფუძიში ოხვამერს’ უწოდებენ. ამ დროს ღორი შეიწირება. გადმოცემით, ადრე ადამიანის მსხვერპლი სწორედ ღორის მსხვერპლმა შეცვალა. სამეგრელოში სხვა დღესასწაულებ-ზეც ხშირია ღორის დაკვლა.

კაპუნობას სამეგრელოს ზოგიერთ რაიონში შვილიერების გამოთხოვის მიზნით ცოლ-ქმარი სქესობრივი აქტის სიმბოლურ ასახვასაც მიმართავდნენ შესაბამისი მოძრა-ობებით და შემდეგი დიალოგით: კაცი: ‘იქოზალა-ქოზალა’, ქალი: ‘აშო მომიტუტუცე’ (მაკალათია 309). ამ დიალოგის ინტონაცია ასევე არ არის შემორჩენილი.

‘ფუძაში ოხვამერი’ ცალკეც აღინიშნება \_ დიდმარხვის პირველ ორშაბათს. სხვაგ-ვარად მას ‘თუთაშხაბედინერს’ (ორშაბათბედინერი), ‘ოთუთაშხურეს’, ‘ოთხაშურს’ უწოდებენ. ამბობდნენ სიმღერა ‘თუთაშხა ბედინერსუ’ (რომლის მუსიკალური ტექსტი დღეს მხოლოდ ერთი ვარიანტითაა შემორჩენილი) (ცანავა 163). ახალ მთვარეს ხელს უშვერდნენ, ქუდს უხდიდნენ და ამბობდნენ: თუთა ახალი, ღორონთი სი გამახარი, \_ (მთვა-რე ახალი, ღმერთო შენ გამახარე) (დღეს ამ დასახელების სიმღერა ღირიკული სტილისაა). სხვა ორშაბათებისაგან განსხვავებით, ამ დღეს საქმის დაწყება კარგის მომას-წავებელი იყო.

ზოგიერთი მოსაზრებით, ძველი სიმღერა ‘თუთა ახალის’ ტრანსფორმირებულ ვარი-ანტს წარმოადგენს ასევე სატრფიალო მეგრული სიმღერა ‘ჩელაია ცირა’ (თეთრი გოგო).

ამავე პერიოდში იმართებოდა ‘ყენობა’ \_ ტრადიციულად ყველიერის თანმდევი საზოგადო ქართული თეატრალიზებული სანახაობა.

მეგრელი აღნიშნავდა სხვა ტრადიციულ დღესასწაულებსაც: ‘დეჯიხვამა’ (‘ღორის სალოცავი’) \_ ახალი წლის წინა დღეს, ‘ტიანობა’ (მტევნობა (ვენახის) \_ დიდმარხვის პირველ კვირას, ‘გაძიგება’ \_ დიდმარხვის შუაში, ‘შურუბუმობა’ (ხმის ამოუღებლობა) დიდ ხუთშაბათს, ‘აიობა’ \_ დიდმარხვის ბოლოს, ‘საოცოდინარო’ \_ აღდგომის შემდეგ (უცოდინარობით შეცოდებისთვის პატიების თხოვნა), ‘ნაფრა’ \_ ივლისის შაბათ დღეს (სახსრების მკურნალი ქალი ღვთაებისადმი),

„შქვითული“ \_ ოქტომბრის ბოლოს (შვიდ-ნაირი საკლავით), „გალენიში ორთა“ \_ საქონლის სადგომში („ქართა“) შესრულებული რიტუალით საქონლის დასაცავად.

მეგრელის რელიგიურ ცნობიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა დემონური არსებებისადმი შიშს, როგორებიცაა: „ტყაშმაფა“ (ტყის მეფე, უმეტესად ქალის სახით), „ოჩოკოჩი“ (ვაცკაცა, რომელიც ზოგჯერ ტყაშმაფას უპასუხოდ ეტრფის), მესეფეები (წყლის ქალი), „ჭინკები“ (პატარა „გობლინის“ მაგვარი არსებები, ეს პერსონაჟი მთელ საქართველოშია გავრცელებული), „დიხაშკოჩი“ (პატარა მიწის კაცი) (ნადარაია 143).

ელიაობისა და მარიამობის წინა ღამეს იმართებოდა „ჭეჭეთობა“ („ჭინკობა“). ამ დღეს მეგრელთა წარმოდგენით, თეთრ მგელში შებმულ საწნახელში მჯდომი ბოროტი „როკაპი“ მიჰქროდა ტაბაკონის მთისაკენ (მარტვილშია), სადაც კუდიანთა შეკრება ეწყობოდა. ამ ღამეს არ უნდა დაეძინათ. სოფლის მოედანზე ხალხი ჭრელი ტანსაცმლით იკრიბებოდა, შუა მოედანზე დანთებულ დიდ კოცონს ახტებოდნენ; იყო სიმღერა, ცეკვა, ჩონგურზე დაკვრა. მღეროდნენ სიმღერას: „მაზაკვალეფ ზაკუას ნიტე შურო ვაყუას“ („მზაკვრები ზაკვაში ნეტავ სულ არ იყვნენ“ \_ დღეს „მაზაკვალის“ მხოლოდ ერთი ვარიანტია მუსიკალურად დაფიქსირებული) (განავა 98). ცდილობდნენ ხალხში მზაკვრები ამოეცნოთ. ასევე ამ დღეს იცოდნენ „გინორჩქილა“ \_ გულთმისანი კაცები და ქალები შემადლებულ ადგილას დგებოდნენ, სოფელს გასცქეროდნენ და აყურადებდნენ: თუ ხის მოჭრის ხმას გაიგებდნენ, ეს ხის მჭრელის გარდაცვალებას ნიშნავდა, ხოლო თუ ღომის ცეხვის ხმას \_ მცეხველი ქალისას (ჯოლოხავა 2010). ელიაობა დღეს სრულდებოდა ასევე ფერხული „ხუჯიშ ოსხაპური“ (მხარული) სიმღერით „ვო რეროშა, რეროშა“ (ჭოხონელიძე 11).

არაკალენდარული მეგრული რიტუალებიდან აღსანიშნავია ჩვეულება „ძიძავა“: გვალ-ვის დროს სოფლის გოგოები (ზოგჯერ ყველა ბავშვი) გააკეთებდნენ თოჯინა \_ დედო-ფალას („მოჭყუღუა“, „კენჭაია“ (ლოლობერიძე 160) და ქალურად მორთავდნენ, სო-ფელ-ში შემოატარებდნენ და მერე წყალში დაახრჩობდნენ. ზოგჯერ საკლავსაც კლავდნენ და ცა-ღრუბლის უფროსს ნამის მოცემას სთხოვდნენ (მაკალათია 331). სამწუხაროდ შესაბამისი მუსიკალური მოტივი შენარჩუნებული არაა.

მსგავსი დღესასწაული იყო „გორგოთობა“ (13 ივნისს უქმობდნენ, რომ გვალვამ ნათესები არ გააფუჭოსო) და „კოხინჯრობა“ (13 მაისს, კოხისა და ავდრისაგან ნათესის დასაცავად (მაკალათია 331).

სამეგრელოში სამკურნალო სიმღერებიც იყო გავრცელებული, თუმცა დღემდე მათი თითო-ოროლა ნიმუშმა მოაღწია.



სახადით დაავადების დროს ('პატონეფი') \_ ავადმყოფს ართობენ სიმღერით და ჩონგურზე დაკვრით (მაკალათია 332). მღეროდნენ სიმღერა 'ია პატონეფი'-ს, რომელშიც ავადმყოფობის ანგელოზებს \_ 'ბატონებს' აქებდნენ და ეფერებოდნენ. ავადმყოფთან მეზობლები და ახლობლები იკრიბებოდნენ და მას (მასთან ერთად კი \_ 'ბატონებს') სიმღერით, ჩონგურზე დაკვრით და ზღაპრების მოყოლით ართობდნენ. ბატონების მსახური (შემლოცველი ან ჩონგურზე დამკვრელი) განაგებდა ამ პროცესს \_ თუ როდის უნდა გა-ჩუ-მე-ბულიყვნენ და როდის ემღერათ. ზოგიერთს ბატონების მიერ კედელზე ჩამოკიდებულ ჩონგურზე დაკვრაც ესმოდა (სახოკია 33).

ბნედიტ დაავადებულები სამეგრელოში ყველაზე ძლიერ ხატთან \_ ილორის წმინდა გიორგისთან მიჰყავდათ, რომლებსაც ხატის წინ აცეკვებდნენ, რა რიტუალსაც 'ატლე-ჩობას' ეძახდნენ. მოგვიანებით ამ ცეკვამ, ამავე სახელწოდებით, ჯარობაში და ოსხაპუეში გადაინაცვლა (ცანავა 97).

მართალია, ქურდი მეგრულად 'მახინჯია' (უგვანი), მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ადრე აქ ქურდობა, კერძოდ კი \_ ცხენისა, სასახელო საქმედაც მიაჩნდათ. საინტერესოა, რომ საქართველოში ცხენების დადაღვა (გახურებული რკინის იარაღით) ყველაზე მეტად სამეგრელოში იყო გავრცელებული. ქურდობას ერთგვარად ხელს უწყობდა სამეგრელოში გავრცელებული რწმენა იმისა, რომ ილორის წმინდა გიორგი (წმინდა გიორგის ილორის ეკლესიის ხატი) მისივე დღესასწაულის წინაღამეს სოფლის ერთ-ერთი ოჯახიდან საუკე-თესო ხარს იპარავდა, რომელიც მორწმუნეებს დილით ეკლესიის ეზოში ხვდებოდათ.

მეგრელის ცხოვრების წესსა და საზოგადოებრივ სისტემაში მეტად მნიშვნელოვანი კა-ტე-გორია იყო 'ვაშინერს' \_ ტაბუ. აკრძალული იყო კერიის ცეცხლის ჩაქრობა (გოგია), სის-ხლისმიერი თუ მირონით ნათესავთა დაქორწინება, ზოგიერთი მტაცებლისა და მავნებ-ლის (დათვის, გველის, თაგვის, გარკვეულ პერიოდში \_ ჭინჭრის) სახელის ხსენება და სხვ.

ამ მრავალფეროვანი რიტუალების მიმოხილვის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ, საზოგადოდ, მეგრელები რელიგიურობის საკმაოდ ძლიერი გრძნობით გამოირჩეოდნენ. თუმცა მათი რწმენა ორიენტაციის მხრივ ნაკლებად კონცენტრირებული იყო, რისი მი-ზეზიც, შესაძლოა, მართლმადიდებლურ ტაძრებში ქართულის \_ არაყოველღიურად საურთიერთობო ენის საღვთისმსახურო ენაც ყოფილიყო. ამჟამად სამეგრელოში ზემო-ჩამოთვლილი რწმენა-წარმოდგენები ნაკლებად პოპულარულია და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლია.

მეგრული სიმღერის ერთ-ერთ ყველაზე მრავალფეროვან და არქაული მოტივებით გაჯერებულ მუსიკალურ ჟანრს შრომის სიმღერები წარმოადგენს.

სამეგრელოში განვითარებულია როგორც მესაქონლეობა, ასევე მიწათმოქმედება. ასევე იქნებოდა ძველი კოლხეთშიც, რომელსაც, ამასთანავე, სხვა პრიორიტეტული სამე-ურ-ნეო დარგებიც გააჩნდა. აქედან უცხოეთში გაჰქონდათ: ტილო, სელის ქსოვილი და ზეთი, ძვირფასი ხე-ტყე, აბრეშუმი, თაფლი, ცვილი, ტყავი, ბეწვეული, ღვინო, კოლხური ხობობი, რკინა და რკინის ნაწარმი. ძველთაგანვე ცნობილი იყო მეგრული სამეთუნეო, ოქრო-მჭედლური, საფეიქრო ნაწარმი. აღსანიშნავია, რომ ძველ კოლხეთში იჭრებოდა ორი-გინალური კოლხური თეთრი, რომლის ერთ მხარეს ქალის თავი, ხოლო მეორეზე \_ ხა-რის თავი იყო გამოსახული.

არქანჯელო ლამბერტის თქმით, `არც ერთი ერი ისეთ პატივს არა სცემს მიწათ-მოქმედებას, როგორც მეგრელები. სხვაგან ყოველგან მიწის მუშაობას ეტანებიან მხოლოდ დაბალი ხალხი და ხეპრე გლეხები. სამეგრელოში კი რაც უნდა დიდი გვარის კაცი იყოს თვითონ მუშაობს თავის ყანებში და მოჰყავს თავისი საზრდო. ეს საქმე სათაკილოდ რო-დი მიაჩნიათ. (ლამბერტი). საინტერესოა, რომ კოლხეთის გათხრებისას მკვლევარებს ხშირად აღმოუჩენიათ სასოფლო-სამეურნეო იარაღები (განსაკუთრებით \_ კოლხური ცუ-ლი), რაც მეტად იშვიათი მოვლენაა არქეოლოგიაში (ანთელავა 72).

სამეგრელოში ძველად ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურა ღომი ( `ჩხვერი` ) და ფეტვი ( `ჭკიდი` ) იყო. შემდგომში იგი სიმინდმა შეცვალა (მოგვიანებით გავრცელდა სუბტროპიკული კულტურებიც: ჩაი, ციტრუსები). მარცვლეული კულტურების დამუშავები-სას და მოსავლის აღებისას მეგრელები ხშირად მიმართავდნენ საქართველოში (განსა-კუთრებით მის დასავლეთ ნაწილში) გავრცელებულ კოლექტიური დახმარების ფორმას \_ ნადს (მეგრულად `ნოდი` ). სიმღერა ერთ-ერთი აუცილებელი კონპონენტი იყო ნადისა. როგორც არქანჯელო ლამბერტი წერს, `ეს დიდი შრომა საშინელ სიცხეში უნდა აიტა-ნოს კაცმა. მის გასაადვილებლად ისეთი ხერხი მოუგონიათ, რომ გეგონებათ, მთელი სოფელი ქეიფობსო. ამ ხერხს შეადგენს სამი რამე: ნადი, სიმღერა და უხვი საჭმელი` (ლამბერტი 51).

მეგრული ნადური სიმღერები, მსგავსად საქორწილო სიმღერებისა, მხნე და ომა-ხიანია. მათ უმეტესობას, გურული, იმერული და აჭარული ნადურების მსგავსად, ციკლუ-რობა ახასიათებს. ეს სხვადასხვა მცირე სიმღერისაგან შექმნილი ორგანული ნაერთია. სიმღერის დასაწყისში დამწყების ფართე დიაპაზონის ფრაზებს განვითარებული სამხმიანი ფრაგმენტები მოჰყვება. შემდგომში ტემპი ჩქარდება, ანტიფონური ფრაზები მოკლდება და სიმღერაც უმეტესად აპოთეოზით მთავრდება. განსაკუთრებით პოპულარულია ნადური `ოდოია`. სიტყვა `ოდს` მიწის ღვთაებას უკავშირებენ. ეს რთული დრამატურგიული განვითარების სიმღერა, თავისი მრავალსახოვანი ვარიანტებით, `კუჩხა ბედინერთან` და `ჩელასთან` ერთად, სამეგრელოს სავიზიტო ბარათად შეიძლება ჩაითვალოს.

სამეგრელოში მრავლადაა შემორჩენილი სხვა შრომის სიმღერებიც: `ოჩეშხვეი~, `ხემხვაია~ (მოსავლის აღებისას), `ობარგალი~ (მარგვლისას), `ოჩხვარალი~ (საცეხველი), `ოყონური~ (ყანის სიმღერა), `ოსხუნური~ (დარჩევისა), ერთხმიანი `გუთნური~ (ხვნისას).

სიმინდის აღებასა და რჩევაში ნოდში კაცებთან ერთად ქალებიც მონაწილეობდნენ, ხოლო ღომის ცეხვის დროს, ძირითადად, ქალების ნოდი ეწყობოდა (გელაძე 54). ისინი კაკუტებით \_ ბოლოში მოღუნული მძიმე საცეხველით (ჯოხებით) ცეხავდნენ ღომს. სამი ქალი მორიგეობით, გარკვეულ რიტმში არტყამდა ღომის თავთაავს ამ ჯოხებს. მაკალა-თიას თქმით, ამ რიტმის აღსანიშნად ჩამოთვლიდნენ რიცხვებს, და სახუმარო, ხშირად კი \_ უწმაწურ სიტყვებს (მაკალათია 183). ამჟამად შემორჩენილია მეგრული სიმღერა `ეუკუ-ნათ კაკუტებს~ (ავწიოთ კაკუტები), რომელიც ამ რიტუალის გამოძახილი უნდა იყოს, თუმცა მას დღეს კაცები მღერიან. მასში ფრაზის დაბოლოებისას შემახილები `ოჰო ჰო~ -ა გამოყენებული.

სიმინდის რჩევა (`ლაიტიმ სხუნუა~) ძირითადად საღამოს იწყებოდა და მასში ახალ-გაზრდა გოგო-ბიჭები იღებდნენ მონაწილეობას. ამ დროს `ოჩეშხვე დო ხვარიელი~ (ყანას ხვავი) იმღერებოდა. ამ სამუშაოს დროს მასპინძელი ვალდებული არ იყო გამას-პინძლებოდა დამხმარეებს, თუმცა ხშირად, მუშაობის შემდეგ მასპინძელი გოჭს ან ციკანს კლავდა და გართობა ზოგჯერ დილაამდე გრძელდებოდა (ჩიჯავაძე შ. 4).

ნადს სამეგრელოში აწყობდნენ აგრეთვე მიწის განოყიერების მიზნით ურმებით ტორ-ფის მოზიდვის დროსაც (ჯალაბაძე 7).

მეგრელები მიწაზე მუშაობის დასრულებისას ზოგჯერ მღეროდნენ ორხმიან `ლესიონ და კირიას~ (იგი არაყიშვილის მიერაა ჩაწერილი), რაც მართლმადიდებლური ტექსტის შრომის სიმღერაში შეტანის იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს.

სამიწათმოქმედო სიმღერებიდან ცალკე აღსანიშნია მეგრული ერთხმიანი `გუთნური~, რომელსაც აღმავალი მელოდია, ლიდიური ჟღერადობა და ორი ტონიკალური საყრ-დენი ახასიათებს და ინტონაციურად აღმოსავლურქართულ და ზემოიძერულ ანალოგიური ჟანრის სიმღერებს უახლოვდება.

მიწის სინოტივისა და მზის მეტი მცხუნვარების გამო სამეგრელოში ძველთაგანვე ვაზს ხეზე ან ტალავერზე (სპეციალურად მაღალ სარებზე გაწყობილ ძელებზე) აშენებ-დნენ. მაღლარი (ხეზე ასული) ვაზის საკრეფად გიდეღს (გრძელ დაწნულ კალათას) იყენებ-დნენ. ხეზე ასული მკრეფავი ყურძნით გავსებულ გიდეღს ქვევით ჩაუშვებდა შემახი-ლით `ა გიდეღი~ (ამ დასახელების სიმღერა ამჯერად გურიასა და იმერეთშია შემორჩენილი). ქვევით მდგომი მეგიდლე გიდეღს დაცლიდა და ასმახებდა `მშვიდობით გიმართი~ (მშვიდობით ჩამოდი) და გიდეღს ზემოთ ააწვდიდა.

მაღლარ ვაზთან იყო დაკავშირებული ასევე დღესასწაული `ჯამქეჩერი~ (ჯამქეშია), რომელიც მარიამობას იცოდნენ. ოჯახის წევრები ხესთან მიიტანდნენ კვარებს, ოჯახის უფროსი ხეზე ფეხს

მიადგამდა, კვარს ფეხქვეშ გაიტარებდა და დაილოცებოდა. ეს წესი, მეგრელთა რწმენით, ხეზე გასულ ყურძნის მკრეფავს ხიდან ჩამოვარდნისაგან იცავდა.

სამეგრელოში 60-მდე ჯიშის ყურძენია გავრცელებული. მათგან ყველაზე ცნობილია ოჯალეში (მეგრულად – `ხეზე გაზრდილი`), რომლიდანაც საუკეთესო წითელი ღვინო მზადდება.

ერთ-ერთი წამყვანი დარგი სამეგრელოში მეცხოველეობა იყო. აქ არის გამოყვანილი საუკეთესო ჯიშის მეგრული თხა. ასევე ცნობილია თავისი კარგი სამეურნეო თვისებებით მეგრული ცხენი და მეგრული ძროხა (`კვარაცხელიას ჯიშის`).

საქონლის გამრავლება-მფარველობას სამეგრელოში შესთხოვდნენ `მიქამგარიას` (მთავარანგელოზებს), `ჟინიში ორთას` (`ზესთა მფარველს`, ზოგჯერ იგივე – წმინდა გიორგის), `გალენიში ორთას` (გარეულთა მფარველს, მხეცების ღვთაებას, ზოგჯერ – მიცვალებულთა სულების ძალას), `ჟინი ანთარს` (ცეცხლის ღვთაება, ასევე კერიის ცეცხლის მფარველიც, მისი სახელი შეიძლება მაზდეანური `ანთარიდან` მოდიოდეს (მზია მაკალათია 83).

მიქამ-გარიოს მთის მწყემსები თვლიდნენ თავის მფარველად. მის გამო მთაში უწმა-წური საუბარი აკრძალულია იყო. საქონლის მფარველი წმინდა თევდორეც იყო. მის საპა-ტივცემულოდ `თერდობას` დღესასწაულობდნენ. ამ დღეს ცხენს განასახიერებდნენ – გან-სა-კუთრებით ბავშვები – ჭიხვინით და წიხლების კვრით.

`ჯგერაგუნა` (წმინდა აგუნა) ფუტკრის სალოცავი იყო. სიმღერა `ჩაგუნა`, რომელ-საც ამჟამად სალალობო და საცეკვაო დანიშნულება აქვს, ძველად ამ ღვთაებისადმი უნდა ყოფილიყო მიძღვნილი (ჯგერაგუნა-ჩაგუნა). სიმღერაში ჩაგუნა სასურველ სასიძოდ იყო წარმოდგენილი (ცანავა 161). მეგრული `ჩაგუნა`, ოღონდ სხვა ვარიანტებით, პუპულარუ-ლია აჭარაშიც და ლეჩხუმშიც. საინტერესოა, რომ გურიაში `აგუნა` ღვინის, ვაზის მფარ-ველ ღვთაებად ითვლება.

აღმოსავლურქართულ `ურმულის` დასავლურქართული საპირწონეა მეგრული `მა დო ჩქიმი არაბა`. ძუკუ ლოლუას მოგონებით (ცნობილი ლოტბარისა, ვისაც ეკუთვნის ამ სიმ-ღე-რის დამუშავებული ვარიანტი), ამ სიმღერას მეურმეთა ქარავანი მღერის, რომლებიც დატვირთული ურმებით სავაჭროდ მიემგზავრებიან, `ყველა ღებულობს მასში მონაწი-ლეობას` (ლოლუა 156). აქვე იმღერება `ჩელა` – ღარიბი გლეხის საუბარი ურემში შებ-მულ კამეჩებთან, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მელოდიური მეგრული სიმღერა.

მარანთან ერთად, მეგრელისთვის წმინდა ადგილად სამჭედლოც ითვლებოდა. აქ სრულდებოდა `სახეხუნჯო` (ხელ-მხარის სალოცავი). სამჭედლოში, გრდემლთან ან წმინდა სოლომონის (მჭედელთა მფარველის) ლავანთან (`ოხეხუნჯე`) დადებული ფიცი ხატზე დაფიცების დარი იყო (კაკაბაძე 99). უნდა აღინიშნოს, რომ ძველ კოლხეთში ოქრო-მ-ჭედლობა კარგად იყო

განვითარებული. შემორჩენილია ორიგინალური ოქროს სამკაულები: დიადემები, ყელსაბამები და საყურები.

მეგრული სამზარეულო ერთ-ერთი პოპულარულია საქართველოში. აღსანიშნავია ფაფისმაგვარი ღომი, ყველი სულგუნი, ცხარე საწებელი აჯიკა, ასევე ელარჯი (ყველ-შეზელილი ღომი), საცივი (ინდაურის ხორცი ნიგვზიანი სოუსით) და სხვა. მეგრული სამ-ზარეულოს ერთ-ერთი მახასიათებელია ცხარე კერძები, რის მიზეზადაც, ზოგიერთის მოსაზრებით, ადრე აქ გავრცელებული მალარიის წინააღმდეგ ბრძოლა შეიძლება დასა-ხელდეს.

საინტერესოა, რომ მეგრელებმა იცოდნენ გაჭირვებულის დახმარების ჩვეულება "შენწობა". მეჯოგეებს შორის მოქმედებდა ურთიერთდახმარების წესი "აზარა", მსგავსი აღმოსავლურქართული "ოჩხარისა".

მეგრელისათვის, ისევე როგორც ზოგადად ქართველისათვის, ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ქორწილი იყო, რომელიც, ცხადია, საზეიმო და მრავალფერო-ვანი მუსიკალური სამოსით იყო წარმოდგენილი.

სამეგრელოში ქორწილის წინაპირობა ხშირად იყო დანათესავების მოსურნე ოჯახების მიერ ჩვილების აკვანშივე დანიშვნა. ამ რიტუალის დროს გოგო-ბიჭის აკვნებს გვერდიგვერდ დადგამდნენ და დედები თავიანთ შვილებს ეუბნებოდნენ: "აჰა, შენი ქმარი", "აჰა, შენი ცოლი" (შესაბამისი ინტონაცია შემორჩენილი არ არის).

მეგრული საქორწილო ციკლი სხვადასხვა ეტაპისაგან შედგებოდა: გადაწყვეტილებების მიღება, ახლობლებში გაკითხვა ("გოკითხირი"), მონახულება ("გინოძირაფა"), დანი-შვნა ("შანუა"), ქალის წამოყვანა ("მოყონაფა"), ჯვრისწერა ეკლესიაში ან მარანში, ქორ-წილის სუფრა ("დირაა"), ერთი წლის შემდეგ ქალის თავის ოჯახში სტუმრობა ("დორ-თა") (ჯოლოხავა).

საპატარძლოსა და სასიძოს შორის საქმეს ოჯახის ახლო ნათესავი ან "მარებელი" \_ მაჭანკალი აგვარებდა, რომელსაც ამ ღონისძიებიდან გარკვეული შემოსავალი ეკუ-თვნოდა. მეტად პოპულარულია საქართველოში მეგრული მელოდიის, მაგრამ ევრო-პული ჰარმონიით შეზავებული მეგრული სახუმარო სიმღერა "მარებელი", რომელიც ცნობილმა ლოტბარმა ძუკუ ლოლუამ გადმოსცა.

მონახულების დროს, როდესაც სიძის ახლობლები ქალის ოჯახში მის გარეგნობას და ქცევას უთვალთვალებდნენ, პატარძალს თავისი მუსიკალური შესაძლებლობებიც უნდა გამოეჩინა \_ ჩონგურზე უნდა დაეკრა და ემღერა (სახოკია 85).

თუ პატარძალი, ან მისი ოჯახი უარზე იყო, მას ზოგჯერ მოიტაცებდნენ ხოლმე. ხშირი იყო "გითოტყუაფა" (როდესაც ქალი ვაჟს ნებით მოატაცინებდა თავს).

მეგრული ქორწილის მშვენებაა მაყრული `კუჩხი ბედინერი` (ბედნიერი ფეხი), რომელსაც ძირითადად სიძის მაყრები მღეროდნენ პატარძალთან (მოჭყუდუ) მისვლისას, მისი სიძის (სინჯა) სახლში წაყვანისას, სიძის ოჯახში კერას ირგვლივ პატარძლის შემოტარებისას.

სიმღერის დასახელების მხრივ `კუჩხა ბედინერს` და მის ვარიანტებს (ძველი კუჩ-ხი ბედინერი, ახალი კუჩხი ბედინერი) ენათესავება `კუნტა ბედინერი` და `ძველი ბედი-ნერა`, თუმცა მუსიკალური სტრუქტურის მხრივ განსხვავდება (სიტყვიერად კი ყველა აღნიშნული სიმღერა გლოსოლალიებზეა ძირითადად აგებული). ეს სიმღერები, ხშირად `ბედინერას` სახელით, დღეს უმეტესად დიღინით სრულდება და, ზოგი მათი ვარიანტი პოლიფონიური განვითარების `გურულ` მასშტაბებს აღწევს. ამასთან, `ძველ ბედინერას` უმეტესად სუფრაზე მღეროდნენ.

`კუჩხი(ა) ბედინერა(ი)` ასევე აუცილებელი იყო კალანდას (ახალი წლის) დღესასწაულობის დროს, ზოგჯერ კი – შრომის დაწყების დროსაც – ყოველი საქმის კეთილად, ბედნიერად დაწყების მოტივით.

საქორწინო სუფრა იწყებოდა მშვიდობის სადღეგრძელოთი, რომლის შემდეგაც ნე-ფე-დედოფალს დალოცავდნენ. აქ იმღერებოდა საღალღობო სიმღერებიც. მათ შორის `მრა-ვალ-ჟამიერ`, `გე(ფ)ვშვათ ღვინი ხარათია` (შევსვათ ღვინო სასმისით). საქორწინო სუფრის დამამთავრებელი სიმღერა იყო `ოლური კულა რე` (წასვლის სასმისია), რომლის დროსაც მსმელი იძულებული იყო ბზის ჩიბუხის ფორმის წვრილყელიან (ძნელადდასალევ) სასმისიდან – კულადან დაეღია.

საინტერესოა, რომ საქორწინო მაყრულებიდან სამეგრელოში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, სათავეს იღებს `მგზავრულის` ჟანრის სიმღერები. ასეთია: `მგზავრული`, `დილუ-დილა`, `სქანი ყოროფა` (შენი სიყვარული), რომელიც იმერულ `კეისრულს` ენა-თე-სავება, `არირამა` იგივე `ცხენოსნური`, `ვორერო`, იგივე `მხედრული`, `ქაჯური`.

სამეგრელოში მეტად გავრცელებული იყო დანათესავების სხვა სახეობებიც: შვილად აყვანა: მშობიარობის სიმულაციით (სქუაში მითორგინაფა – შვილის შემოგორება), ძუძუზე კბილის დადგმა (ძუძუ კბირიმ გედგუმა); დანათესავების სამგლოვიარო წესი (ფუჩაფილი), ძიძობა (მორდუობა) (ჯოლოხავა).

სამეგრელოში ილხენდნენ როგორც ქორწილის დროს, ასევე – სხვადასხვა რელი-გიური დღესასწაულებისას და ნადის შემდეგ. აქ საკმაოდ მრავლადაა სუფრული სიმღერა დაფიქსირებული. მოლხენა მეგრელთა ერთ-ერთი საყვარელი ჩვეულება იყო. ლამბერტი წერს: `მეგრელებს წმინდა მოვალეობად მიაჩნიათ, რომ დღესასწაულის დროს რაც შეიძლება დიდი

წვეულება გამართონ და რაც შეიძლება დიდხანს დარჩნენ სუფრაზე~. სუფ-რული სიმღერებია: 'ჟამიერ~, 'გეფშვათ ღვინი ხარათია~, 'გეშვი დო გეშვია~ (დალიე და დალიე), 'დადიანის მოძახილი~, 'აბა რერო~, 'ოვდელია~,

სამეგრელოში მიცვალებულისადმი მიძღვნილი რიტუალი დიდი ემოციურობით გამო-ი-რჩევა. განსაკუთრებით ცნობილია მეგრული შეცხადება კვილით და სახის კაწვრით ('გინო-ნგარა~ \_ ახლობლის გარდაცვალების შესწრებისას ან გარდაცვალების ამბის შეტყობისას) და ტირილი. მგლოვიარეები წელზევით შიშვლდებოდნენ და ზოგჯერ მათ-რახსაც იცემდნენ. მღვდელი მიცვალებულს წესს მაგალობელთა გუნდთან ერთად უგებდა.

სამეგრელოში იცოდნენ მოთქმა, ხმით ტირილი და ზარი. მოთქმა 'მათვალარის~ მიერ მიცვალებულის ღირსებების ჩამოთვლას და ხმის ოსტატურად მოძრაობას ითვალის-წინებდა, რაც მსმენელებს გულს უჩვილებდა, ყოველი ტაეპი მღერით მთავრდებოდა და ხმამაღალი ვიშ-ვიში მოჰყვებოდა (ლამბერტი 62). ხმით ტირილი უმეტესად \_ ხშირად სის-ხლით ნათესავების მიერ (ზოგჯერ კაცების მიერაც) სრულდებოდა. ტირილში ხშირად პროფესიონალ მოტირლებს იწვევდნენ. მეგრული ტირილები ძირითადად კვინტის დიაპა-ზონისაა და ამ მხრივ ზოგადქართული დატირების სტილისტურ ნორმაში ჯდება. თუმცა დაფიქსირებულია სეპტიმის დიაპაზონის ორსაყრდენიანი ტირილიც (გარაყანიძე 77).

ქალების ტირილთან ერთად ისმოდა 'ზარი~ \_ წუხილის გამომხატველ შორის-დებულ 'ვაი~'-ზე აგებული მამაკაცთა სამხმიანი სამგლოვიარო ჰიმნი (ამ სიმღერის ვარი-ან-ტები გავრცელებულია მთელ დასავლეთ საქართველოში, გარდა აჭარისა). მეზარეები 4-5 კაცია, რომელთაგან ერთი დამწყებია, მეორე წვრილი, დანარჩენი მობანეები (მაკალათია 283). ზოგჯერ ზარი ანტიფონურადაც სრულდებოდა (სახოკია 123). მეგრული 'ზარი~ გან-საკუთრებული სიდინჯით, მედიდურად იმღერება, რითაც სვანურ და გურულ ზარს ეხმი-ანება.

მიცვალებულს დასაფლავების წინ ეკლესიაში უგებდნენ წესს.

ზარის თანხლებით სრულდებოდა მიცვალებულის დაბარებაც (მაგალითად, შვილის დანაბარები დედისადმი). უშუალოდ დატირებიდან მოდის აკვნის სიმღერა 'შოუ ნანა~. დედა დატირის შვილს 'გიონგარალში~ (დატირება). ასევე დედის მიერ დაკარგული, მოტაცებული შვილის დატირებაა გადმოცემული პოპულარულ ლირიკულ სიმღერაში 'აკა სი რექიშო~ (შენ ერთი მყავდი).

სამეგრელოში იცოდნენ ნიშანზე დატირება (განსაკუთრებით \_ შაბათობით; ამ დღეს ჭირისუფალი არ მუშაობდა). ნიშანი მიცვალებულის ერთგვარი სიმბოლო იყო \_ მისი ტანსაცმელი, ზოგჯერ მის ცხენზე გადაფენილი. მიცვალებულის წლისთავზე, რომ-ლითაც ოჯახში გლოვა მთავრდებოდა, ზოგჯერ ამ ტანსაცმელს ჩალით ან ბამბით დატე-ნიდნენ და სუფრასთან დასვამდნენ ('ნიშანიში ძგიბუა~) (მაკალათია 287). წლისთავზე იცოდნენ მარულა (დოლი, ცხენთა შეჯიბრი) და ყაბახი (ნიშანში სროლა) (ანთელავა 314).

ზოგჯერ, როდესაც მოხუცი ხვდებოდა, რომ გარდაცვალებისას მას დამტირებელი არ ეყოლებოდა, თავად მართავდა თავისთვის ნიშანზე დატირების ცერემონიას. ამის შემდეგ, როდესაც იგი მოკვდებოდა, მას დატირების გარეშე მარხავდნენ.

იქ სადაც ადამიანი დაიხრჩობოდა, წაიღებდნენ ჩონგურს, ციკანს წყალში დაახრ-ჩობდნენ და იტყოდნენ: სული ჩვენი, ანგელოზო, დაგვიხსნია და ეშმაკს ეს ციკანი ჰყავ-დესო. ასევე იცოდნენ დახრჩობის ადგილზე მამლის ყოვილის მინიშნებით სულის პოვნა და ჩონგურის დაკვრით მისი სახლში წამობრძანება. შესაბამისი მუსიკალური ნიმუში არ გაგვაჩნია.

მეგრელ ქალთა სიმღერა მთელ საქართველოშია ცნობილი. შესაძლოა, ეს ტენდენ-ცია მეგრული სიმღერის ლირიზმიდან გამომდინარეობს, ან პირიქით \_ ქალის ლირიკული მელოდია ახდენს ზეგავლენას მეგრული სიმღერის მელოდიურობაზე.

მეგრელი ქალების სილამაზეს არაერთი უცხოელი მოუხიბლავს. შარდენის სიტყვე-ბით `...ქალები კი ძალიან ლამაზი არიან, მათ აქვთ ისეთი მიშხიდველი და ალერსიანი გამოხედვა, რომ მაყურებლისგან თითქოს ტრფიალს ითხოვენ`.

ცნობილი ქართველი ისტორიკოს-გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი მეგრელებზე წერს: `ხოლო კაცნი და ქალნი, ... უშვენიერესადცა და უუჰაეროვნესადცა, ვინადგან გლეხთაცა შვილნი მიგვანან წარჩინებულთა შვილთა. სუფთანი, სამოსელთ გამწყსონი...`

თავისუფალ დროს ქალი უთმობს მუსიკას და ცეკვას. ახალგაზრდა ქალი ვაჟთან ერთად მონაწილეობს ფერხულში (არაყიშვილი).

ქალი იშვიათად გამოდის გარეთ სამუშაოდ. მხოლოდ უკიდურესი გაჭირვება აიძუ-ლებს მას ქმართან ერთად გავიდეს ყანაში ან ტყეში სამუშაოდ. იგი ძირითადად სახლში მუშობს (არაყიშვილი).

არაყიშვილის აზრით, არ არსებობს ისეთი მეგრელი ქალი, რომელიც არ უკრავდეს ჩონგურზე და არ მღეროდეს. მეცნიერი ასევე თვლის, რომ მეგრელ ქალებს მუსიკალო-ბაში მთელს კავკასიაში არ მოეპოვებათ ბადალი (არაყიშვილი). მეგრელ ქალთა სიმღე-რებ-ში სატრფიალო მოტივი ჭარბობს, თუმცა ზოგჯერ ირონიული შეფერილობით: `გათხუალა მოკო მარა~ (გათხოვება მინდა, მაგრამ), `სი ვარდი~, `ათეშა ქომონჯი მომი-რი-გითი~ (ამისათვის ქმარი გამირიგეთ).

მეგრელ ქალთა მუსიკალური ნიჭი XX საუკუნის 70-იანი წლებიდან განსაკუთრებით პოპულარულ ე.წ. `კოლხური ტრიოებშიც~ გამომჟღავნდა, რომლებმაც ქალთა მიერ ჩონ-გურ-ზე დამღერებული მელოდიური სიმღერებით გაითქვეს სახელი.

მეგრელი ქალების შემოქმედებიდან საქართველოში მეტად პოპულარულია მეგრული `ნანები~ \_ დედის ნამღერი აკვნის სიმღერები. ისინი, უმეტესად, გასამხმიანებულია და კაცები მღერიან. ერთ-ერთია `სისა ტურა~ \_ ერთ-ერთი პოპულარული მეგრული სიმღერა. ძველ ერთხმიან



ნანათაგან მხოლოდ `ნანა სქუაა` შემორჩენილი. ასევე ცნობილია `ვეენგარა ნანა სქუა` (არ იტირო, ნანა, შვილო).

ძის დაბადებას სამეგრელოში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, უძღვნიდნენ ფერხულს `მზე შინაო, მზე შინაო`. დღეს მისი მხოლოდ ერთხმიანი ვარიანტია ჩაწერილი (ეთნოფორ პ. ბასილიასგან 1900 წელს) ქართულ ენაზე, რომელიც ზოგადქართული შესა-ბა-მისი მოტივის ვარიანტია, ოღონდ ორწილად ჩარჩოში ჩასმული (აღმოსავლეთქართული ფერხულებისათვის ესოდენ დამახასიათებელი სამწილადობისაგან განსხვავებით). შემორ-ჩენილია თავად ფერხულის მცირე დახასიათებაც.

სამწუხაროდ, მეგრული ბავშვთა სიმღერები დღემდე არაა ჩაწერილი. ძველი საბავ-შვო სარიტუალო სიმღერები `აიარე ბაიარე` (ბზობის სიმღერა \_ ქრისტიანული შინა-არსისა), `ჩექოთომი ჩელაია`, `თუთა ახალი` (ცანავა 84). პირველი ორი ამათგანი დღეს მხოლოდ ვერბალური სახით, ხოლო მესამე \_ უფროსთა სამხმიანი სიმღერის სახითაა დაფიქსირებული

სამეგრელოში ადრე მეტად პოპულარული იყო ისტორიული თემატიკის სიმღერები: `აი, დაფი, დაფი, დაფი` (სიმღერა თავად ლევან დადიანზე), `გური კოჩი` (სიმღერა როს-ტომ დგებუაძეზე), `სი მუხუტი, ნანა სქუა` (სიმღერა თურქიანობის პერიოდზე), `დიდოვ ხვიჩა, დიდოვ, სქუა` (შვილების მონებად გაყიდვაზე). დადიანის მასხარა კიპა ფაჟავას მიეწერება სიმღერები: `ახ, დობლური, დობლური` (ოპ, მოკვდი, მოკვდი), `ვო, დადია, დადია`, `დადია, ლერსის ქოფთქვა` (დადიანო, ლექს ვიტყვი) და სხვა. სამწუხაროდ ამ სიმღერების მხოლოდ სიტყვიერი ვერსიაა შემორჩენილი.

დღეს იმღერება სიმღერა `ბურღა`. მასში გამოსჭვივის ბატონის გაქილიკება, რომე-ლიც მხლებლებთან ერთად გლახს გადასახადს ადრე მოსთხოვს და `გოჭკომურზე` ეწვე-ვა. ეს უკანასკნელი ბატონთა მახინჯი ჩვეულება იყო, რომელიც სოფლებში, გლახთა ოჯახში სტუმრობას და დიდი ხნით ჩასახლებას ითვალისწინებდა \_ სანამ გლახს სარჩო არ დაეღეოდა.

გაუსაძლისი სოციალური პირობები გლახთა შორის მრავლად წარმოშობდა ფირა-ლებს \_ ყაჩაღებს. მრავალ მათგანზე სამეგრელოში სიმღერებიც იმღერებოდა: `ჩქინი მაცი ხვიტია` (ჩვენი მაცი ხვიტია), `გვარი ფიფია მიღუდუ-დო` (გვარად ფიფია ვიყავი), `არსენა შონიაში ლერსი` (არსენა შონიას ლექსი). სოციალური თემატიკისაა ასევე `1905 წანაში ლერსი` (1905 წლის ლექსი) (ცანავა 247-258). ამ სიმღერების მუსიკალური ტექსტი ასევე არ გვაქვს.

აღსანიშნავია მე-19 საუკუნის გლახთა აჯანყება არისტოკრატთა წინააღმდეგ უტუ თოდუასა და უტუ მიქავას ხელმძღვანელობით, რომელიც როგორც აჯანყების მოთავეთა დასჯით (გადასახლებით), ასევე დამნაშავე მებატონეთა მოთოკვით დამთავრდა. სწორედ ამ აჯანყებას ეძღვნება სიმღერა `უტუს ლაშქრული`, იგივე `აბა ულა` (აბა წავედით). მის გვიანდელ

წარმოშობას ადასტურებს მეგრულისათვის არასახასიათო ტერციული კადანსი. ზოგიერთი მკვლევარი ამ სიმღერის მოტივს უკავშირებს სუფრულ ქალაქურ სიმღერას `ეს თამადა ჩანჩალა`. მსგავსი სულისკვეთების სიმღერაა `პატონობაშ გინოლაფა` (ბატონ-ყმობის გადავარდნა), აგრეთვე პატონ ბლახუნდუ` (ბატონი მცემდა).

რაც შეეხება უფრო ადრინდელი წარმოშობის საგმირო ეპოსს, მის შესაბამის სიმღერებს დღეს სამეგრელო მოისაკლისებს. შემორჩენილია ცნობა, რომ ზუგდიდის მხარეში გავრცელებული სიმღერა-ბალადა `არამხუტუ`, რომელიც ზღაპრულ გმირს ეძღვნებოდა (ზოგადქართული ამირანის ანალოგს).

საზოგადოდ მეგრული სიმღერები, ისევე როგორც \_ ზოგადად მუსიკა, შეიძლება დავყოთ ერთი მკაფიო კრიტერიუმით \_ მაჟორ-მინორობით, ანუ სიმხიარულე-ნაღვლი-ანო-ბით (საინტერესოა ამ მხრივ სიმღერა `თასუა`, სადაც მაჟორული და მინორული მიხრი-ლობის კილოები ენაცვლება ერთმანეთს). არც ერთ ქართულ კუთხეში არაა ნაღვლიანი და მხიარული სიმღერები ისე მკაფიოდ გამიჯნული ერთმანეთისგან, როგორც სამეგრე-ლოში. ამ თვისების ერთ-ერთ მიზეზად უნდა ვიგულისხმოთ მეგრულ სიმღერებში სევდი-ანი, ლირიკული მოტივის სიჭარბე. შესაძლოა, გლებთა ჩაგვრა, ყმაწვილთა გაყიდვა და ხშირი ომიანობაცაა მეგრულ სიმღერებში არსებული მკვნესარე ინტონაციების მიზეზი. ან იქნებ ამ მოჭარბებული ლირიზმის საფუძველი, ისტორიული პირობების გარდა, თავად მეგრელთა ხასიათის გენეტიკური თავისებურებაცაა?

უნდა აღინიშნოს, რომ მეგრელებს მოიხსენებდნენ, როგორც თავაზიან ხალხს. ლამ-ბერტის აზრით, `მეგრელები ურთიერთდამოკიდებულებაში ისეთ მომხიბლავ ქცევას იჩენენ, რომ ამ მხრივ მათ ბარბაროსები კი არ ეთქმით, არამედ შეიძლება მათი შედარება მეტად ზრდილობიან კარისკაცებთან` (ლამბერტი 114).

მაგრამ მეგრული ლირიკა მთელი სისავსით პირველ რიგში სატრფიალო ჟანრში იჩენს თავს.

არაყიშვილის თქმით, `მეგრელისთვის ქალი პოეზიაა`. მეგრული ანდაზის მიხედვით: `ოსურს ეუკინანქინ, თუთა რე, გეუკინანქინი, ტუტა რე` (ქალს აამაღლებ მთვარეა, დაამდაბლებ \_ ნაცარია).

კასტელის ცნობით, `... ნადიმზე ქალების წინ მუხლმოყრილნი სვამ-დნენ ღვინოს` (კასტელი 117).

სატრფიალო ლირიკის ნიმუშებია სიმღერები: `ვაგიყორქო მა` (არ გიყვარვარ მე?), რომელიც ძუკუ ლოლუას მიერაა დამუშავებული, `მიყორქ და მიღირუქ` (მიყვარხარ და გაფასებ), `მაგლონია` (მაგნოლია), `ჩქინ ტორონჯი` და სხვა.

მეგრული სატრფიალო ლირიკის ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტია ვარდი. ეს მცენარე სამეგრელოში თითქმის კულტის საგნადაა ქცეული. ოდის (სახლის) წინ ვარდის მოშენება მეგრელისთვის ჩვეული ამბავი იყო. ვარდი იხსენიება უმრავლეს სატრფიალო სიმღერებში: `ართი ვარდი` (ერთი ვარდი), `მა სი ვარდი` (მე შენ ვარდი), `სი ვარდის ვაუჯგუდე` (შენ რომ

ვარდს არ სჯობდე), `მაფშალია~ (ზულზული), `ედემიშ ბალი~, `ბაღაჩას ვორდი~ (ბაღში ვიყავი) და სხვა.

მაგრამ მეგრული უპასუხო სიყვარულსაც სიმღერით გამოთქვამდა. საზოგადოდ, ჩივილი მეგრული ლირიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა. გარდა უპასუხო ტრფობისა, მეგრელები ჩივიან სიღარიბეზე.

ემოციური სიმძაფრით გამოირჩევა სიმღერა `სი ქოულ, ბატა~ (შენ მიხვალ, საყვა-რელო), რომლის დედანის გამოთქმა მიტოვებულ პატარძალს მიეწერება, რომელსაც სასიძომ პატარძლისავე დედა ამჯობინა და მარტოდ მიატოვა. ამ სიმღერაში მართლაც განწირული ადამიანის ამოძახილი შეიცნობა.

გატანჯული სიყვარულის ამსახველია ასევე: `დუდი ოყვილარი მაფუ~ (თავი მოსა-კლავი მაქვს), `ნატვრა~, `მუ ფქიმინა ბედიჭვილქ?~ (რა ვქნა ბედდამწვარმა?), `ვაი ღორონ-თი~ (ვაი ღმერთო) (ეს სიმღერები არაყიშვილმა ჩაიწერა მეჩონგურე მომღერალი ქალი-საგან ეზოპინა ჩაჩავასგან 1902 წელს), `ასე ჩონგური~ (ახლა ჩონგურო), `მწარე ყოროფა~ (მწარე სიყვარული), `ჩქიმ ტორონჯი~ (ჩემი მტრედი), `წვალეზული სიცოცხლე~, `ვოჯანუდი ჩქიმ ჯარგვალს~ (ვიწექი ჩემ ქოხში).

იშვიათი არაა ოპტიმისტური განწყობის სატრფიალო სიმღერებიც. ასეთია, მაგალი-თად, `ტანი მშვენიერი გილუ~ (ტანი მშვენიერი გაქვს) იგივე `ირული ჩქიმდა~ (მოი-რ-ბინე ჩემთან) \_ ევროპული ტონიკა-დომინანტური ჰარმონიით, `კვარკვანტია~ (ცქრიალა).

სამეგრელოში სატრფიალო ლირიკის განსაკუთრებული სფეროა ე.წ. `ქალ-ვაჟიანი~, ანუ ქალისა და ვაჟის სატრფიალო გაშირება. ვაჟი ქალს ეტრფის, ქალი თავდაპირველად უარობს, ხოლო ბოლოს თანხმდება. ისევე, როგორც სხვა სატრფიალო სიმღერები, ეს ნიმუშებიც ჩონგურის აკომპანემენტით სრულდება. მეტად პოპულარული იყო სატირულ-იუმორისტული `ჯამუში და კოკაიხეში ლერსი~ (ჯამუსა და კოკაიას ასულის ლექსი). `ქალ-ვაჟიანის~ სხვა ვერსიებია: `ძღაბიში და ბოშიში შაირები~ (გოგოსა და ბიჭის შაი-რები), `(3)აბავრერო~, `ქალ-ვაჟის გაშირება~.

განსაკუთრებით საინტერესოა ერთ-ერთი ნიმუში, სადაც ქალი `ცოცხალი ტყუილის~ მხატვრული ხერხით ითხოვს სასიძოს, რომელიც `ზღვაში ირემზე ინადირებს, ტყეში ბადით კალმახებს დაიჭერს~ და ვაჟიც პირდება, რომ `ირემს გუთანში შეაბამს, ცაზე კომკს ააშენებს~ (მეგრული ტექსტები 571).

`ქალ-ვაჟიანის~ ჟანრი განსაკუთრებით აქტუალური გახდა საბჭოთა პერიოდში. ცხა-დია, აქ საბჭოთა თემატიკაც შეერია სატრფიალო საუბარში.

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს მეგრული სიმღერა `ერეხელის~ ფუნქცია და წარმო-შობა. იგი ორიგინალური წყობის, სახუმარო, სწრაფსათქმელი სიმღერაა და გაუგებარ ტექს-ტზეა აგებული. ზოგიერთის მოსაზრებით, ეს ტექსტი შენიღბული სექსუალური შინა-არსისაა.

მეგრულ ლირიკულ სიმღერებს შორის არატრადიციული სიუჟეტით გამოირჩევა სიმღერა `ბორია ირქენს~ (ქარი ქრის), სადაც საშინელ ამინდში მწყემსის მიერ დაკარ-გული თხის ძებნაა ასახული.

მეგრელი გლეხი, მიუხედავად ძნელი ყოფისა, ყოველთვის იცლიდა ჯარობებში, ოსხაპუეში მოლხენისთვის. იგი არც იუმორთან იყო მწყრალად. სახუმარო მეგრული სიმღერები საკმაოდ მრავლადაა დაფიქსირებული: `ჭიჭე ტურა~ (პატარა ტურა), `ერე-ხელი~, `ჩაგუნა~, `არამი დო შარიქა~ (ძაღლის სახელები), `არილოია~, `ულა მოკო~ (წასვლა მინდა), `ლაჭაჭია, კიბორჩხალა~, `ბექია~ (სოფლის მამასახლისის გაკილვა), `ჩქი-მი ჩე-ჩე ღორღონჯეფი~ (ჩემი თეთრ-თეთრი ბატები), `ნოსა-დიანთირი~ (რძა-დედამთილი), `რაი-როუ~, `ჩარირამა~, `კოკი, დარჩელი~.

ხალხურ საკრავთაგან სამეგრელოში ყველაზე გავრცელებული საკრავი ჩონგურია. გურულებთან და აჭარლებთან ერთად, მეგრელები ჩონგურის სწორუპოვარი დამკვრე-ლე-ბია. საქართველოში არსად ისე შეზრდილი არ არის სიმღერასთან საკრავი, როგორც სამეგრელოში. თავად ჩონგურს მრავალი მეგრული სიმღერა ეძღვნება (`ასე ჩონგური~, `ჩქიმ ჩონგური~)

ჩონგურის აკომპანემენტი შესაძლოა მელოდიურად ვოკალს მისდევდეს, ან მხოლოდ აკორდულ თანხლებას წარმოადგენდეს. ხშირად საკრავიერ შესავალში მთელი სიმღერის მუსიკალური წინადადებაა გადმოცემული. არცთუ იშვიათია მცირეფორმიანი ოსტინატური ფორმის საჩონგურო თანხლება, რომელიც ვრცელი ვოკალური მელოდიას ახლავს. ჩონ-გური, როგორც სოლო საკრავი, ცეკვასაც ახლავს თან.

ჩონგურის ორ ყველაზე გავრცელებულ წყობათაგან ერთ-ერთს (ფ-ა-ც-ე) `მეგრულად~ მოიხსენიებენ (მეორეს \_ `გურულად~). ამ წყობაში იკვრება ფრიგიული კადანსის, ერთ-გვარი მინორული დასასრულის მქონე სიმღერები.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მეგრული სიმღერები ჩონგურის თანხლებით, გურულ, იმერულ და აჭარულ ანალოგიური წყობის სიმღერებთან ერთად, ერთი დიდი სტილისტური პლასტის ნაწილია.

გარდა ჩონგურისა, სამეგრელოში უკრავდნენ ლარჭემზე, ჭიანურზე, ჩანგზე, ბუკზე (ოყეზე), მოგვიანებით \_ გიტარაზე, გარმონზე. გიტარა სამეგრელოში არ არის ისე პოპულარული, როგორც იმერეთში და გურიაში (არაყიშვილი).

მწყემსურ მრავალღერძიან სალამურზე ლარჭემზე დასაკრავები ძირითადად სამეგრელოშია ჩაწერილი (ამ საკრავზე, სოინარის სახელით, გურიაშიც უკრავდნენ). სამეგრელოში გავრცელებული ყოფილა ექვსღერძიანი ლარჭემი \_ მთის რეგიონში, ხოლო კი \_ ხუთღერძიანი (მაკალათია 257). ექვსღერძიანი ლარჭემის ღერების სახელებია: კიდურა \_ მეჭიფაშე (წვრილი), შუა \_ მებანე, ცენტრში \_ მეშხუ(აშ)ე (მსხვილი ხმა, ბანი). ხუთღერძიანისა (მოკლე ღერებიდან გრძე-ლი-საკენ): ჭიფეში, მაჭყაფალი (დამწყები), მაღალი, მებანე, მემალაღე (მაკალათია 257). ამ ტერმინებით მეგრული ვოკალური ხმის სხვადასხვა ნაირსახეობასაც აღნიშნავს. არაყიშვილის ცნობით, მწყემსების საკრავ ლარჭემს `სასწრა-ფო~საც ეძახდნენ (არაყიშვილი 92). ლარჭემზე ასრულებდნენ: `ჭყიმური~ (მწყემსური~), `ოსხაპური~ (საცეკვაო), `ნირზი~ (შეჯიბრი).

ძველად მეგრულ ცეკვას ჩონგურთან და ლარჭემთან ერთად გოგრისაგან გაკეთებული ჭიანურის დაკვრაც ახლდა. გავრცელებული იყო ამ დროს დაირაზე და გარმონზე დაკვრაც (მაკალათია 280).

სამეგრელოში ბუკისა და დაფდაფის ნადირობის დროს ხმარება აღწერილი აქვს კასტელს (კასტელი 57). გადმოცემით, ბოლო დრომდე ილორის ეკლესიაში ინახებოდა წმინდა გიორგის ოყე (ბუკი) (ანთელავა 298). ამ საკრავს, ლამბერტის გადმოცემით ნათ-ლის-ღების დღესასწაულისა და დიდი ხუთშაბათის მსახურების შემდეგ უკრავდნენ (ლამბერტი 138).

არაყიშვილის ცნობით, სამეგრელოში 9-სიმიანი ჩანგი გამოიყენებოდა (არაყიშვილი 92).

საინტერესოა ბგერის გამოსაცემი საბავშვო სათამაშო 'ოლურნაიათი', რომელიც თხი-ლისგან და აბრეშუმის ძაფისგან კეთდებოდა. ძაფს დაგრეხდნენ და მოტრიალე თხი-ლის ნაჭუჭი სახასიათო ხმას გამოსცემდა (ლოლობერიძე 161).

მართალია, მეგრული ცეკვა არ გამოირჩევა ილეთების ისეთი მრავალფეროვნებით, როგორც, ვთქვათ, აჭარული, მაგრამ მეგრელისთვის იგი მოლხენის ერთ-ერთი საყვარელი საშუალება იყო. განსაკუთრებით გავრცელებული იყო სამეგრელოში ფერხულები, რაც სოფლის ახალგაზრდობის ერთობის გამოხატულება იყო. მეგრული ფერხულები იმი-თა-ცაა საინტერესო, რომ მათში ქალები და კაცები ხშირად ერთად ებმებოდნენ. მეგრულ ცეკვა-ფერხულთაგან აღსანიშნავია:

'ძაბ(ვ)რალე' და 'ჯანსულო' (მაკალათია 280), რომლებიც ძველი სამონადირეო რიტუალიდან, ან 'ყველიერის' \_ საგაზაფხულო თეატრალიზებული რიტუალიდან მომდინარე სახუმარო თამაშობა-ფერხულს წარმოადგენს. აღნიშნული მოტივის დასტურია ამ ქმედებაში წრის შიგნით ცხოველის ტყავში გახვეული პერსონაჟი ('ძაბრა') ან ბეწვიანი ქუდი, რომლის ქვეშაც ავი სული იმალება ('ჯანსულო'-ში) (ცანავა 197) მათი განგმირვა-დამარცხებით.

'ხუჯიში ოსხაპური' ('მხარული'), რომელიც ეკლესიის ეზოში სრულდებოდა და ხელჩაკიდებული ქალ-ვაჟი მოთამაშეების ნელი ნაბიჯით მოძრაობით ხასიათდებოდა.

'ოხოხოია' \_ ორი ჯგუფის მიერ მონაცვლეობით სიმღერა და შაირობა, რომელიც დღეს ორპირული ფერხულის სახითაა შემორჩენილი, რომელსაც ხშირად საცეკვაო 'ჰა-რირა' მოსდევს ხოლმე.

თავყრილობა 'ოსხაპუე'-ში ხშირად მთელი სოფელი მონაწილეობდა \_ ახალგა-ზრდაც და ჭარმაგიც. ეწყობოდა ფერხული გოგო-ბიჭების მონაწილეობით. სრულდებოდა ანტიფონური (მეგრულად 'გიწოლალა', ანუ 'ჩამორთმევა'). ოსხაპუეს დროს ეწყობოდა შეჯიბრი სხვადასხვა თამაშობებში, სირბილში, დოდში, მოხერხებულობაში. საზოგადოდ მეგრულ სოფელში უახლოეს წარსულშიც, განსაკუთრებით, კვირა დღეს, ხშირად იმარ-თებოდა 'ჯარიანობა', ჯარობა \_ ახალგაზრდების შეკრება საღამოობით, რომელზეც უხვად იყო სიმღერა, მხიარულობა და თამაშობები. აქ იმღერებოდა ასევე 'ოსხაპური', 'ვოსა' (რომელიც გურიაში და, განსაკუთრებით აჭარაში გახდა პოპულარული), 'ხინტკი-რია' (ხის ხმლებით და ხშირად, ახვეული თვალებით თამაშიდან მომდინარე ცეკვა), 'ვარადა'.

ზოგიერთი ცნობით `ოხოხოია~ და `ოსხაპუეს~ ფერხული ორსართულიანიც იყო (შემსრულებლები ერთი-მეორეს მხარზე ადგებოდნენ).

ძუკუ ლოლუას ცნობით, ფერხულად სრულდებოდა `ჰენდა ვარალი და ჰორი არა ლენდა~ (ლოლუა 173).

XIX საუკუნეში ევროპული ჰარმონიით ნასაზრდოები ქალაქური მოტივების მოძა-ლებამ ქართულ მუსიკალურ-ფოლკლორულ სივრცეში, რომელიც ყველაზე ძალუმად სა-მეგრელოს მეზობელ იმერეთში (შესაძლოა, ქალაქ ქუთაისის ფაქტორის გამო) განხორ-ციელდა, მეგრულ სიმღერაზეც იქონია ზეგავლენა. მეგრელებმა მოახერხეს სოფლური და ქალაქური მოტივების ორგანული შერწყმა, რის შედეგადაც მხატვრულად ღირებული ნი-მუშებიც შეიქმნა: `თემ იღბალი~, `მახა~, `ართი ვარდი~ (იმერული `ბროლის ყელსას~ მსგავსი მოტივით), `ულა მოკო~ (წასვლა მინდა), `მარულა~ (დოდი, ცხენების შეჯიბრება).

იმერეთისაგან განხვავებით, სამეგრელოში ქალაქური სტილი ძირითადად ევროპული ფუნქციონალური ჰარმონიული საფეხურების დამკვიდრებაში გამოიხატა და მელოდიკას ნაკ-ლე-ბად შეეხო. თვით დომინანტა-ტონიკის ბანის კვარტული ნახტომიც ამ სტილის მეგრულ სიმღერაში უმეტესად ბანის აღმასვლითაა შევსებული. ამასთან, ამ დროის იმე-რული პრაქტიკის გვერდით, გიტარას სამეგრელოში პოპულარობით ჩონგური არ შეუვი-წროვებია. მაჟორული განწყობის მეგრულ-ევროპული ჰარმონია მხატვრული ღირებულების მხრივ მეგრული სიმღერის მეტად საინტერესო და ორიგინალურ პლასტს აყალიბებს.

მეგრულ ლოტბართა მხატვრული გამომგონებლობის საინტერესო მაგალითს წარ-მოადგენს ოთხხმიანი სიმღერა `ჩონგურული~, რომელშიც მომღერლები მოკუმული პირით ჩონგურის ხმოვანებას ბაძავენ.

საბჭოურ ეპოქაში სამეგრელოში მრავალი სიმღერა იქმნება, მათ შორის საკმაოდ ხშირია მხატვრულად ღირებული ნიმუშები. ასეთებია `ჩქიმ ქიანა~ (ჩემი ქვეყანა), `რკინაშ ხოჯი~ (რკინის ხარი, იგულისხმება ტრაქტორი), `კოლექტივს ვოკათუკი~ (კოლექტივს ვუ-ერ-თ-დები), `ირო ემე ირდუუქი~ (მუდამ იზრდები), `ახალი ურმული~, `ჩქიმ ჩონგური~ (ჩემი ჩონგური), `კოლექტივიში ჩაი~ (კოლექტივის ჩაი), `კოლექტივიში მშრომელეფი~ კოლექტი-ვის მშრომელები) და სხვა. გვხვდება თვით ზოგადქართული საბჭოთა ფოლკლორი-სა-თვის უჩვეულო თემატიკის სიმღერებიც: `წენდიხური ენწერეფი~ (წალენჯიხური ეწერი მიწები), `რვა მარტი~ (მეგრელისთვის მაინც სახასიათო), `სიმღერა კოსმონავტ გმირებზე~, `სიმღერა შვიდწლიან გეგმაზე~ და სხვა.

მეგრული სიმღერის მუსიკალური ენის შესახებ საუბრისას, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მისი მელოდიურობა. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, მეგრული სიმღერის მუსიკალური

განვითარების ვექტორი მიმართულია უფრო მეტად მელოდიური განვითარებისაკენ, ვიდრე ხმათა პოლიფონიური შეხამებისაკენ. თუმცა ზოგადად მეგრული მუსიკალური ენა, ისევე, როგორც ზოგადად ქართული, მრავალხმიანია.

მეგრულ სიმღერას თითქმის თანაბრად, იწყებს როგორც შუა, ასევე ზედა ხმაც. ზოგადად საქართველოში კი დამწყები უმეტესად შუა ხმაა. მეგრულ სიმღერაში ზედა ხმის ინიციატივა კიდევ ერთი დასტურია მასში მელოდიური საწყისის ბატონობისა. სამ-ხმიან ფაქტურაში მელოდია კონტურულ ხმებში უკეთ ვლინდება, კერძოდ კი, აკუსტიკური წინაპირობით, \_ ზედა ხმაში. მეგრული მუსიკალური ენის მღერადობისადმი სწრაფვა მელოდიის `ზედა სართულზე` \_ პირველ ხმაში გადანაცვლებით გამოიხატა და ამით კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა.

როდესაც ძირითადი მელოდია შუა ხმაში ტარდება, ზედა ხმა მის კოლორირებას ემსახურება როგორც წვრილი გრძლიობის ასევე გაბმული ბგერებით (`ფერხული`, `მაცრული`).

მელოდიური საწყისის პრიორიტეტზე მიუთითებს ისიც, რომ დასავლეთ საქართველოში ყველაზე მეტად სწორედ მეგრულ სიმღერაშია დამწყების პარტია მელოდიურად განვითარებული და ვრცელი (ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში კახური სიმღერა). ხოლო ბანის პარტია აქ უმეტესად თანხლების როლს ასრულებს და, გურული და ქვემოიმერული სიმღერებისაგან განსხვავებით, იშვიათად იწყებს სიმღერას (გარაყანიძე 76), თუმცა რამდენიმე ამის მაგალითი გვაქვს (`დილ-დილა`). მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ მეგრული სიმღერის ბანი მელოდიურად განუვითარებელია. იგი ამ მხრივ აშკარად კვლავდაკვლავ მხოლოდ გურულ და, ნაწილობრივ, იმერულ ბანს ჩამორჩება.

თუ არ ჩავთვლით ქართული საეკლესიო საგალობლის ფრაზების `აკინძვის` პრინციპით გამორჩეულ გურულ სიმღერებს, მეგრული სიმღერა მელოდიის ვრცელი განვითარებით საქართველოს არცერთ სხვა კუთხეს ნიმუშებს არ ჩამოუვარდება (`მიყოს ფაცხა`). მეგრული მელოდია ძირითადად ტალღისებურად ვითარდება, თუმცა ხშირია და-ღმა-ვალი მიმართულების მელოდიებიც. აღსანიშნავია ტერციების სეკვენტურად დაღმა-სვლა სიმღერებში `სისა ტურა`, `დილა ვადილა, ჩქიმ ცოდა` (ჩქმი ცოდვა), `სქან ყორო-ფა` (შენი სიყვარული), `ვო(ი)სა`. გვხვდება `ელიზიის` პრინციპის გამოყენებაც \_ მელო-დია თითქოსდა სრულდება, მაგრამ კვლავ გრძელდება (`ჩქიმ ტორონჯი`).

უნდა აღინიშნოს მუსიკალურ-სტილური ურთიერთგავლენის ნორმები მეგრულსა და მოსაზღვრე კუთხეთა სიმღერებსა და დასაკრავებს შორის.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ სიმღერების, შესრულების მანერისა თუ მუსიკალური კანონზომიერებათა ზეგავლენის მხრივ სამეგრელო მკაფიოდ მხოლოდ გურიის ზეგავლენას განიცდის. აქ ვისმენთ ტიპიურ გურულ სიმღერებს `ჩვენ მშვიდობა`, `წამოკრული`, `ალიფაშა`, თუმცა \_ ნაკლებად რთული მეგრული ვარიანტით. ზოგიერთი მეგრული სიმღერა კონკრეტული გურული სიმღერის უფრო ძნელად შესაცნობ ტრანსფორმირებულ ვერსიას წარმოადგენს \_ `შვიდკაცა`, `იგებური` (`პატარა საყვარელოს` მოტივზე), `სკანი ყოროფა` (`ალავერდის` მოტივზე). სამაგიეროდ, გურულებიც სესხულობენ მეგრულ `კუჩხა ბედინერს`.

საინტერესოა მეგრელების შესრულებით დაფიქსირებული სიმღერა `ვარდსა ჰკით-ხეს`, რომელიც ტიპიური გურული სიმღერაა, მაგრამ ანალოგიური ვარიანტი გურიაში არ გააჩნია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მეგრული `ბედინერას` სხვადასხვა ვარიანტები, რომლებიც პოლიფონიურობით გურულ სიმღერას არ ჩამოუვარდებიან. საინტერესოა, რომ ეს ნიმუშები არაა დაფიქსირებული უშუალოდ სამეგრელო-გურიის საზღვართან, რაც გურულ გავლენას გვაფიქრებინებდა.

ასევე განვითარებულია ხმათა დამოუკიდებელი მოძრაობის მხრივ მეგრული `მრავალ-ჟამიერები` (`ჟამიერ`), `მადლობელი`, რომლებიც წყობით გურულ `ბრევალოს` ენათესავება. ეს სიმღერა, ისევე როგორც `მადლობელი`, დასავლურქართული საეკლესიო საგალობლის წყობისაა. საინტერესოა, რომ მეგრულ ვარიანტებს, უფრო მეტად, ვიდრე გურულს, ახასიათებს კადანსში ბანის უნისონში ჩართვამდე შეყოვნება, რაც ასევე საგალობლის სტილისტური ხერხია.

სამეგრელოში იშვიათად თუ დაფიქსირდება იმერული სტილის სიმღერის შესრულება. ამ მხრივ მხოლოდ `ქაჯური` (იგივე `ცხენოსნური`) მგზავრული იკვეთება.

თავად მეგრული სიმღერების `იმპორტი` სხვა კუთხეებში საკმაოდ შესამჩნევი მოვლენაა. ასეთია მოკლედრაზიანი `ჩაგუნა` (აჭარაში და ლეჩხუმში), `ვოსა` (აჭარაში), `ოდოია` (ლეჩხუმში), `ჰარირა` (სვანეთში), `კუჩხა ბედინერი` (ყველა მოსაზღვრე კუთხეში) და სხვა.

ცალკეა აღსანიშნი მეგრული და ლაზური სიმღერების ურთიერთმიმართება. ეს უკანასკნელი, ისტორიული ძნელბედობის გამო, დიდი ხანია, მოწყვეტილია ზოგად მეგრულ-ლაზურ კულტურას და, ძირითადად თურქული გავლენით, ერთხმია. მაგრამ ლაზური მუსიკალური დიალექტი სხვა ქართული დიალექტებიდან სწორედ მეგრულთან, მის ყველაზე ახლო მონათესავესთან ამაღლავნებს სიახლოვეს, რაც მელოდიის წამყვანი როლით მჟღავნდება. ლაზური მელოდია, მსგავსად მეგრულისა (შესაძლოა, უფრო მეტა-დაც) ლირიკულია და სევდიანი, ამასთან \_ საკმაოდ განვითარებული.

მეგრული სიმღერის კილოებრივი წყობა მრავალსახოვანია. ყურადღებას იპყრობს ფრიგიული კილოს დაბალი მეორე საფეხურით, რომელიც კადანსებში ხშირად იჩენს თავს. ეს პასაჟი სხვა ქართულ დიალექტებშიც გვხვდება, მაგრამ მეგრულისთვის იგი სტილისტურ კანონზომიერებად ყალიბდება. მეგრული მრავალხმიანი ქსოვილისათვის ასევე მეტად დამახასიათებელია ორ მეზობელ ხმას შორის (ბანი და შუა, შუა და ზედა) ტრი-ტონის ინტერვალი (გარაყანიძე 76). იქ სადაც ტონიკალური, საყრდენი ბგერა აშკარადაა გამოკვეთილი, შეინიშნება ეოლიური და მიქსოლიდიური, ასევე იონიური, იშვიათად კი ლიდიური კილოს ელემენტებიც. მეგრულ სიმღერებში იშვიათია მოდულაციური სვლები, რაც შეიძლება მეგრულ სიმღერაში საყრდენი, ტონიკალური ბგერისადმი მძაფრი მიზი-დულობით აიხსნას, ეს თავისებურება ასევე ხშირ კადანსირებაშიცაა გამოხატული.



მეგრული სიმღერების ჰარმონიული ენა მდიდარია. ამ მხრივ იგი მხოლოდ გურულ სიმღერებს ჩამოუვარდება. გვხვდება ყველა სახის სამხმიანი აკორდი, მათ შორის ტიპური გურული კვინტონაკორდი (' მიყორს ფაცხა მარგალიში' \_ მიყვარს ფაცხა მეგრული). თანხმოვანებებში ხშირია დიდი სეპტიმა, რაც, შესაძლოა, ჩონგურის 'მეგრული წყობის' გავლენის შედეგად იყოს (სადაც მეოთხე უცვლელი სიმაღლის სიმი 'ზილი' ხშირად წარმოქმნის სეპტიმის შემცველ აკორდებს). ყველაზე გავრცელებული საყრდენი (რო-მელზეც ხშირად გაიმღერება სიტყვიერი ტექსტი) აკორდებია სამხმოვანები და კვარტ-სექსტაკორდი.

მეგრული სიმღერის ჰარმონიისათვის საკმაოდ დამახასიათებელია ქვედა საყრდენი VI საფეხურის (რომელზეც ხშირად დამყარებულია მუსიკალური აზრის განვითარება) და ზედა ტონიკალური დამაბოლოვებელი I საფეხურის ტერციული ჩარჩო. ხშირად იძენს საყრდენის მნიშვნელობას ქვედა IV საფეხურიც, საიდანაც ბანი თანდათან ზევით \_ ფინა-ლისისაკენ (საბოლოო ტონიკალური საფეხურისაკენ) მიემართება. ქვედა V საფეხური უმეტესად ქალაქური გავლენის სიმღერებში ხდება ფინალისის ალტერნატიული საყრდენი (დომინანტა-ტონიკის ასოციაციით), თუმცა ბანი უნახტომოდ მიისწრაფვის ფინალისისკენ. სიმღერები ხშირად ეფუძნება შემდეგ ჰარმონიულ ჩონჩხს: I-VII-VI-VII-I (ეს მიმდევრობა საკმაოდ ხშირია სვანურ სიმღერებშიც), რომელიც დამხმარე საფეხურებისა და მელო-დიური ვარიანტების მეშვეობით სხვადასხვა ვერსიით წარმოგვიდგება. თუმცა აღნიშნული სტრუქტურის გვერდით ხშირია ჰარმონიულ საფეხურთა შემდეგი ძირითადი თანამიმდევ-რობაც VI-VII-I, საწყისი VI 46-ს ან VI 68-ს საწყისი პოზიციით. თუმცა ბანის მიერ საფე-ხურების ათვისება, ცხადია, ამ ფორმულით არ შემოიზღუდება. ბანი ზოგჯერ შვიდ საფე-ხურზე გამისებურ აღმასვლასაც ახდენს (' მიყორქ და მიღირუქ' \_ მიყვარხარ და გა-ფა-სებ).

მეგრული სიმღერები ძირითადად უნისონზე მთავრდება, თუმცა გვხვდება კვინტაზე დამთავრებაც: 'ზარიო', 'სიმღერა ნინუცაზე', 'ატლაჩობ(კ)ა', 'ულა მოკო კახათიშა'; კვარ-ტაზე \_ 'სუფრულიო', ტერციაზე \_ 'სი ქოული, ბატა', 'მადალეფიო' (ჩიჯავაძე).

მეგრული სიმღერის მრავალხმიანობა თითქმის ყველა იმ ფორმას შეიცავს, რომელიც საქართველოშია გავრცელებული. მეგრული ხალხური მრავალხმიანობა ხმათა მომ-რაობის განვითარებულობით მხოლოდ გურულ სიმღერებს ჩამოუვარდება და ამ მხრივ იმერულისა და აჭარული სიმღერების გვერდით დგას.

ჯერ კიდევ ძვ. წელთაღრიცხვის IV საუკუნეში ქსენოფონტე აღნიშნავს ქართველუ-რი ტომის, მეგრელთა ერთ-ერთი წინაპრების \_ მოსინიკთა საომარ სიმღერებს, რომელთაც იგი უცნაურს უწოდებს. ამ 'უცნაურობაში' ზოგიერთი მკვლევარი მრავალხმიანობას მიიჩ-ნევს, რაც ერთხმიანი ბერძნული კულტურის წარმომადგენელი ქსენოფონტესთვის შესაძ-ლოა, მართლაც, უცნაური ყოფილიყო. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია.

დღეს კი მეგრული მუსიკალური ენა მრავალხმიანია. ერთხმიანობა აქ მხოლოდ სო-ლოდ სრულდება ('აშო მორთი', 'ხემხვიაა', 'ვა გიყორქო მა') და უმეტესად \_ ჩონგურის თანხლებით. საინტერესოა იოსებ ხასაიას მიერ ნამღერი (1959) საჩონგურო სიმღერე-ბი, რომელშიც მთქმელი ძირითადი ტონიდან სექსტის ინტერვალზე აგებს თავის რეჩი-ტაციას, რაც სამხმიან სიმღერაში კვარტსექსტაკორდზე რეჩიტაციის გამოძახილი უნდა იყოს.

სიმღერების დიდი უმეტესობა სამხმიანია. ორხმიანი სიმღერები ძირითადად საცეკ-ვაო და საფერხულოა (თუმცა არის სხვა ორხმიანი სიმღერებიც სატრფიალოც და საკულ-ტოც \_ 'კილილესა'). გვხვდება 'ნომინალური' ორხმიანობა \_ მომწოდებელის (კორიფესი) და უნისონური გუნდის (ქორო) მცირე ფრაზების მონაცვლეობაც. ამ მხრივ გამოირჩევა სიმღერები 'ჯანსულო', 'ძაბრალე'. ორხმიანობა გვხვდება შრომის სიმღერებ-შიც. ამ მხრივ აღსანიშნავია 'ოდოიას' მოკლეფრაზიანი ვერსია. ორხმიანია ზოგიერთი ლირი-კული სიმღერაც ('დუდი ოყვილარი მაფუ').

მრავალხმიანობის ფორმათა მხრივ აქ დიდ მრავალფეროვნებას ვხედავთ. დასავლეთ საქართველოში ყველაზე მეტად სწორედ სამეგრელოში ფიქსირდება ბურდონულ ბანზე აგებული სიმღერები, მათ შორის, როგორც გაბმულ, კონტინუალურ ბანზე ('ვარანანი'), ასევე \_ რეჩიტატულზე ('ვარწყექო დიბჭვინი'). საზოგადოდ, სამეგრელოში ბანი, ცალკე-ული გამონაკლისების გარდა, ნაკლებად მოქნილია, რაც კვლავდაკვლავ ზედა ხმებში მელოდიური საწყისის დომინანტის მაჩვენებელია.

ოსტინატური მოკლეფრაზიანი საცეკვაო თუ შრომის სიმღერები სამეგრელოში ხასიათდება როგორც კონტინუალური (უწყვეტი), ასევე რეფრენული (სოლისტის მოპა-სუხე) ბანის ოსტინატური ფორმულით ('ძაბრალე', 'იავარა'). ასეთ სიმღერებს შორის აღსანიშნავია საცეკვაო 'ჰარირა', რომელიც ადრე 'ოსხაპუეს' რიტუალის ცენტრალური მოვლენა უნდა ყოფილიყო. დღეს იგი უმეტესად ფერხულის შემდეგ ცეკვისას იმღერება. 'ჰარირა' საქართველოს მუსიკალურ ფოკლორში ვარიანტული ჰეტეროფონიული შესრუ-ლების მინიმალური, მაგრამ მაინც ყველაზე მკაფიო გამოვლენაა (საზოგადოდ საქართვე-ლოში ჰეტეროფონია მხოლოდ ცალკეული, 'წერტილოვანი განშტოებებით' ხასიათდება, ძირითადად \_ ბანის პარტიაში). 'ჰარირაში' სამი-ოთხი პარტია დასტურდება, მაგრამ მონაწილეები არ არიან შეზღუდული მცირე ფრაზები ვარიანტული სახესხვაობით შეას-რულონ.

რაც შეეხება მკაფიოდ გამოკვეთილ ოთხხმიანობას, იგი ფიქსირდება ლირიკულ სიმღერა 'მახაში' (რომელშიც შეიგრძნობა ევროპული ჰარმონიის გავლენაც).

პარალელურ ხმათასვლის ფრაგმენტები მეგრულ სიმღერაში იშვიათი არაა, თუმცა, ისევე როგორც საქართველოში, ეს კომპოზიციური პრინციპი მთელ სიმღერას ვერ მოი-ცავს. თუმცა ზოგიერთ სიმღერაში ამ მეთოდის პრიორიტეტი მკაფიოდ გამოიკვეთება ('აბადელო ნანინა').

საინტერესოა, რომ ტერციული და კვინტური პარალელიზმის გვერდით გვხვდება ორი-გინალური კვარტული პარალელიზმის ფრაგმენტიც სიმღერაში 'ვარადა' (თაგილონი) (ჩიჯავაძე 14).

მეტრის მხრივ მეგრული სიმღერა ძირითადად ორწილადაა (ყველაზე გავრცელებული მეტრი – 4/4), მაგრამ გვხვდება სამწილადობაც (‘ირული ჩქიმდა’, ‘ულა მოკო’). გვხვდება ცვალებადი და შედგენილი ზომებიც, ხუთწილადობაც (‘მწარე ყოროფა’).

ფორმის მხრივ მეგრული სიმღერა საკმაოდ განვითარებულია. ერთნაწილიანი სიმღერების გვერდით გვხვდება მინამღერი-მისამღერის ფორმის მრავალი კუპლეტური ნიმუში. ამგვარ ორნაწილიანობას ზოგჯერ ამრავალფეროვნებს მათ შუა ჩართული ბანის გადამახილი – უნისონური მცირე ფრაზა, ხშირად – აღმავალი ტერციით (‘ადილა’), ან ამავე ბანზე დაყრდნობილი მცირე სამხმიანი ფრაზაც. (‘დამილხინე’). გვხვდება ფრაზების მრავალფეროვანი კომბინაციით მიღებული (როგორც შემდგომი შეკრება, ასევე დანაწევრება) გამჭოლი განვითარების წინადადებები, ასევე ოთხფაზიანი განვითარების (ოთხი სხვადასხვა ფრაზის მიმდევრობით აგებული) სიმღერებიც. განსაკუთრებით საინტერესოა ფორმის მხრივ შრომის სიმღერები. მართალია ზოგიერთ მათგანში სხვადასხვა სიმღე-რისაგან შედგენილი ციკლური ფორმა იკითხება (‘ოღოია’), მაგრამ ზოგიერთში მუსიკა-ლური აზრი გამჭოლი განვითარების ვრცელ მონაკვეთს მოიცავს (‘ოყონური’ – ყანური).

მეგრული სიმღერის ფორმის აგების ერთ-ერთი საინტერესო პრინციპია გლოსო-ლალეებზე აგებული მელოდიური ფრაზების შემდეგ სიტყვიერი ტექსტის მქონე რიტმულად უფრო დანაწევრებული რეჩიტატიული მონაკვეთები, რომლებსაც შემდეგ ისევ მელო-დიური გამღერება მოსდევს (‘დლა და სერი’ – დღე და ღამე).

ისევე როგორც ზოგადად ქართულ სიმღერაში, მეგრულშიც მეტად ხშირია ოთხ-ტაქტიანი კვადრატული ფრაზის შემდეგ ბოლო უნისონური ბგერის მეხუთე ტაქტში, ძლი-ერ დროზე გადატანა.

მეგრული სიმღერის მუსიკალურ ენაზე დაკვირვებისას აღმოვაჩინეთ, რომ მუსიკა-ლური აზროვნება აქ განვითარების სხვადასხვა ეტაპის ფართო სპექტრითაა წარმოდ-გენილი. გვხვდება როგორც სადა, მოკლეფრაზიანი ნიმუშები, ასევე მაღალგანვითარე-ბული მელოდიის, ჰარმონიისა და ფორმის სიმღერებიც.

მეგრული სიმღერა შესრულების ფორმების მრავალსახოვნებასაც ამჟღავნებს. აქ მეტად გავრცელებულია ორპირული (ანტიფონური) შესრულება – განსაკუთრებით საფერ-ხულო და შრომის სიმღერებში, ასევე – მაყრულებშიც. საქართველოსთვის იშვია-თია, მაგრამ არა – სამეგრელოსთვის სუფრული სიმღერების ორპირული შესრულებაც (‘გემ-ვია’ (დალიე), ‘ოლური კულა რე’ (წასვლის სასმისია). დასავლეთ საქართველოს კუ-თხეთა-გან განსხვავებით მეგრულ სიმღერაში ხშირია კაცებისა და ქალების ერთობლივი შესრულება (ამ მხრივ სამეგრელო

განსაკუთრებით სვანეთის, ლეჩხუმის, გურიისა და აჭარასაგან გამოირჩევა). ქალი და მამაკაცი სოლისტები მღერიან როგორც ერთად ('დილა-ვო, დილა-ვო, დელო', 'ჩქიმ ჩონგური' (ჩემი ჩონგური), ასევე \_ მონაცვლეობით ('ძღაბი დუდი დამანები' (გოგოვ თავი დამანები), 'ქალ-ვაჟიანის' ტიპის სიმღერები). ეს პრაქტიკა განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდის ნიმუშებში ძლიერდება.

გურიის, იმერეთისა და აჭარის მსგავსად, სამეგრელოში გვხვდება ტერცეტისა და გუნდის მონაცვლეობა. თუმცა აქაც, განსხვავებით ჩამოთვლილი კუთხეებისაგან, ტერცეტ-ში, ანუ სოლისტთა წრეში მამაკაცთან ერთად ქალიც ხშირად მონაწილეობს (ეს ფორმატიც უმეტესად გვიანდელი პერიოდისა უნდა იყოს).

მეგრული სიმღერის შესრულების ტემპი ზომიერია და ამ მხრივ ყველაზე მეტად უახლოვდება იმერული სიმღერას (თუმცა ეს უკანასკნელი ხშირად უფრო მკვირცხლია). საინტერესოა, რომ მეგრული სიმღერაში ზოგჯერ სიმღერის შიგნით ტემპის ცვლებადობა გვხვდება. რეჩიტატული მონაკვეთები უფრო სწრაფად იმღერება, ხოლო სამღერისებზე აგებული \_ უფრო გამღერებულია და, შესაბამისად \_ დინჯია ('კოკი დარჩელი'). საინტე-რესოა ერთიდაიგივე მოტივის სამი სხვადასხვა ვარიანტის სხვადასხვა ტემპში შესრულებების შემთხვევა სიმღერაში 'სი ქოულ ბატა'.

თავისებურია მეგრული სიმღერის არტიკულაცია (ბგერათწარმოქმნა), ზოგადად შესრულების მანერა, რომელიც თავისებური მკვნესარე ინტონაციისაა, რაც ხშირად არა მხოლოდ სევდის გამოხატულებაა, არამედ \_ მელოდიისადმი მომღერლის ფაქიზ, ემოციურ მოპყრობას ამჟღავნებს. ბგერის აღება ან ზემოდან მცირე, შეუმჩნეველი ფორშლაგით, ან ქვევიდან მცირე გლისონდოს 'შეპარვით' ხდება. ამასთან, თავად მეგრული ბგერა ჰაერის ინტენსიური მიწოდებით ხასიათდება, რაც ზოგჯერ ბუნებრივი ვიბრატოს ჩანასახსაც იწვევს.. მეგრული თითქოსდა თითოეულ ბგერას 'აგემოვნებს' და ისე 'კრავს' მელოდიის ერთიან მომხიბლავ 'თალს'. ხშირია ფრაზის დამთავრების შემდეგ ბგერის 'ჩამოქნევა'.

შეიძლება ითქვას, მეგრულ სიმღერაში ზედა ხმა ტემბრულად და არტიკულაციის მხრივ უფრო ორიგინალურია, ვიდრე \_ შუა ხმა. აქ დღეს ნაკლებად, მაგრამ ახლო წარსულში, სხვადასხვა ცნობით, საკმაოდ გავრცელებული ყოფილა გურული კრიმან-ჭული. ცხადია, სიმკვირცხლით და ჩამოყალიბებული სტრუქტურით იგი გურულს ვერ შეედრება და უფრო იმერულს წააგავს. ამასთან, მაღალ რეგისტრში მეგრული ზედა ხმა ზოგჯერ თავისებულ 'შეყვივლებას' მიმართავს. ამ მხრივ საინტერესოა შელეგიას გუნდის მიერ ნამღერი 'ოჰოჰოია', სადაც სამხმიანობას ზევიდან მეოთხე ხმა ემენება უაღრესად მაღალ რეგისტრში, თითქმის კივილით. ასეთი ფაქტები მიგვანიშნებენ, რომ გურული კრი-მან-ჭული უფრო გვიანი, განვითარებული სახეობაა დასავლეთ საქართველოს წარსულ-ში არსებული რიტუალური 'შეყვივლებისა' \_ სამონადირეო, საბრძოლო, მწყემსური, სამიწათ-მოქმედო, საკულტო თუ სხვა რომელიმე მუსიკალურად გაფორმებული რიტუალისა.

მეგრულ სიმღერებში ხშირად გვხვდება გურიისათვის და იმერეთისათვის დამახა-სიათებელი სამღერისები (გლოსოლალიები \_ შინაარსდაკარგული სიტყვები და შორის-დებულები): ნანა, ნ(რ)ანინა, ორერა, (ვა)დილა(ვო), (ო)დელია, აბადელო, ჩარირამა, თუმცა უფრო ხშირია ორიგინალური მეგრული სამღერისები: დიდოუ ნანა, (დ)ოუ ნანა, ნანაია, ორი ოჰო (ჰო), ოჰოჰო(ია), ოხ(ს)ოხ(ს)ოია, ოსოვ რაიდა, (ვო)რერაშა, ვარა(ი)და, ვარადო (რადო), ოდოია(დო), დიდოუ(დო), აბა რერო, ასევე რეფრენები: სქანი ჭირიმა (შენი ჭირი მე), ნანა სქუა (ნანა, შვილო), ჩქიმ ცოდა (ჩემი ცოდვა), აფხაზური გავლენისად შეიძლება ჩაითვალოს სამღერისები: ვომ(უ) ვარადა, (სი) (შ)ვარადა, რაშა.

აღსანიშნავია, რომ მეგრული როგორც სიმღერას, ასევე ემოციურ მეტყველებას ხშირად იწყებს უთანხმოვნო შორისდებულებით `ო~ (ამ ო-თი დაწყებული სამღერისით), რაც ყველაზე გავრცელებული უთანხმოვნო შორისდებულია ქართულში და სხვა ქართულ მუსიკალურ დიალექტებში იშვიათად გვხვდება. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს მეგრული ბგერის ინტენსიობაზე, რაც მელოდიის მღერადობის ერთ-ერთი წინაპირობაა.

მეგრული სიმღერების ნოტებზე გადატანა XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება, რაც აისახა ანდრია ბენაშვილის, ქრისტეფორე გროზდოვის, ზაქარია ჩხიკვაძის კრებუ-ლებში. მოგვიანებით მათ დაემატა ია კარგარეთელისა და დიმიტრი არაყიშვილის კრებულები. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მეგრული სიმღერების შეკრებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის გრიგოლ კოკელაძეს, მოგვიანებით \_ ოთარ ჩიჯავაძეს, არჩილ და რუსუ-დან ხორავებს, ასევე მრავალ სხვა ქართველ ეთნომუსიკოლოგს.

საზოგადოდ, ბევრი ქართული კუთხე ვერ დაიკვებნის გამოჩენილ ლოტბართა იმ სიუხვით, რაც სამეგრელოს ახასიათებს. მათ მრავალი ასეული სიმღერა შეუნარჩუნეს საქართველოს როგორც ძველებური, ასევე \_ დამუშავებული სახით. ამ მხრივ, პირველ რიგში გამოსარჩევია მეგრული სიმღერის `პატრიარქად` წოდებული ძუკუ ლოლუა, მეგრულ მომღერალთა და ლოტბართა მთელი პლეადის აღმზრდელი, რომლის მიერ ჩამო-ყალიბებული გუნდი შემდგომში საქართველოს სიმღერის სახელმწიფო ანსამბლის ძირი-თადი ბირთვი გახდა; დღესაც, ჩანაწერებიდანაც გვაოცებს თავისი უნიკალური ხმით ნოკო ხურცია; დიდი ამაგი დასდო მეგრული სიმღერის შენარჩუნებასა და განვითარებას ლოტ-ბარმა რემა შელეგიაშ. ამ ლოტბარებმა არა მარტო შემოგვინახეს ძველი მეგრული სასიმღერო ნიმუშები, არამედ მცირე ზომის ზოგიერთი მეგრული სიმღერების დამუშავება-კომბინირება მოახდინეს, რის შედეგადაც სტილურად ერთიანი ნიმუშები მივიღეთ (განსა-კუთრებით \_ ძუკუ ლოლუამ). ასეთი სიმღერებია: `უტუმ ლაშქრული`, `ოდოიას` ერთ-ერთი ვარიანტი, `ვოჯანუდი ჩქიმ ჯარგვალს`, `გეფშვათ ღვინი ხარათია`, `მა დო ჩქიმი არაბა` და სხვა. ცნობილი ქართველი ეთნომუსიკოლოგი ედიშერ გარაყანიძე მეგრული ლოტბარების ნაღვაწს ამ კუთხით ყველაზე იღბლიანად მიიჩნევდა საქართველოში ამგვა-რი პრაქტიკის ფონზე (გარაყანიძე 78).

მეგრული სიმღერის კოლორიტის ზედმიწევნით ზუსტად და მაღალმხატვრულად გადმოცემით გახდნენ ცნობილი ლოტბარები კირილე პაჭკორია, კიწი გეგეჭკორი, პლატონ ფანცულაია, ვლადიმერ ბაბილუა...

აი, სხვა ცნობილი მეგრული ლოტბარები და მომღერლებიც: ვალერიან გეგეჭკორი, ლომინ გუგუშვილი, ივანე ჩომახია, ქიონია აკობია, ბეგლარ აკობია, გალაქტიონ ჭელიძე, პროფილე გაბელია, მიხეილ ხავთასი, იროდი კალანდია, ელენე ჭუბაბრია, ასთამურ მარ-ღანია, ნიკოლოზ ხვიტია, ვლადიმერ სალია, ნოკო ჩაჩიბაია, აკაკი ხარებავა, ტრიფონ ხუხუა, ოთარ დიხამინჯია, ვლადიმერ ნაჭყებია, ანდრი აღანია, ბიქტორ აბშილავა, შოთა გვალია, ალექსანდრე ბერაია, ვალერიან გაბისონია, შოთა ბიგვავა, ლონგინოზ და ვა-ხტანგ მიმინოშვილები, ლეონტი ჩიხლაძე, ორდენ ლეთანძე, ვახტანგ ჯორჯიკია, ლეო ფაჩულია, გივი ცომაია, ოთარ მელია, პანტე ბოჯგუა.

დღესდღეობით დიდი ღვაწლი მიუძღვის მეგრული სიმღერის წინაშე ქართული მუსიკალური ფოლკლორის ცნობილ მოღვაწეს ანზორ ერქო-მაიშვილს, მეგრული სიმღერის დღევანდელ უბადლო მცოდნეს, შემსრულებელსა და ლოტ-ბარს, პოლიკარპე ხუბულავას, ქველმოქმედ გოდერძი ბუკიას...

საუკუნის წინ ილია ჭავჭავაძე ამბობდა: 'სამეგრელოში მოველ და საქართველო ვნახე \_ დიდი საქართველო! ბევრი ჭირი უნახავს საქართველოს, მრავალს ქარტეხილს გადაუვლია ზურგზედა მისსა, მაგრამ ყოველთვის ჟამსა რღვევისა და გაწბილებისა... მტერთა მისთა დამთრგუნველი სამეგრელო იყო, იგი იყო ერთსული და ერთგული იმ სხეულისა, რომელსაც საქართველო ეწოდება. ასე იყო წინეთ, ეგრე არის ახლა, ეგრე დარჩება მომავალშიც.~ მართლაც, სამეგრელო და მეგრული სიმღერა დღესაც ყოველივე ქართულის ერთ-ერთი მებაირახტრეა, მისი ღირსეული წარმომჩენია მსოფლიო კულტურის ასპარეზზე.